

"BOOK OF GEMSTONES AND PEARLS" AND OTHER UNPUBLISHED GEORGIAN
MANUSCRIPTS ABOUT PRECIOUS STONES IN THE DEPOSITORIES OF GEORGIA¹

“წიგნი თვალ-მარგალიტისა” და სხვა გამოუქვეყნებელი ქართული ხელნაწერები
ძვირფასი ქვების შესახებ საქართველოს სიმბეღულეთსაცავებში

IA AKHVLEDIANI

Doc. of Geology and Mineralogy
Georgian Technical University, Associate professor
77 M.Kostava str. Tbilisi, Georgia
ORCID: <http://orcid.org/0000-0002-7846-2630>
Akhvledianiia@yahoo.com
+995 555 348896

IRINA GOGONAI

Doc. of Pedagogy, MA in Chemistry
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
Head of the Educational and Qualification Projects Department
Aleksidze str. 1/3, Tbilisi, Georgia
ORCID: <http://orcid.org/0000-0002-6540-2161>
irinagogonaia@manuscript.ge
+995 577 795454

TAMAR ABULADZE

Doc. of Philology
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
Head of Funds Care, Registration and Exhibition Department, Main Curator, Main Researcher
Aleksidze str. 1/3, Tbilisi, Georgia
ORCID: <http://orcid.org/0000-0001-5666-0786>
t.abuladze@manuscript.ge

¹ The article was prepared within the framework of the project of Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts - "Natural Science (Chemical-Technological and Mineralogical-Gemological) Knowledge in Georgian and Eastern Manuscripts Preserved in the Depositories of Georgia" with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation (grant FR-21-620).

LIANA SAMKURASHVILI

Doc. Of Philology, Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
 Department of Oriental and Armenian manuscripts, Main researcher
 Aleksidze str. 1/3 Tbilisi, Georgia
 ORCID: <http://orcid.org/0000-0002-0724-1320>
liana.samkurashvili@yahoo.com
 +995 591 216829

Abstract

Old Georgian manuscripts about precious stones preserved in various scientific centers and antiquities of Georgia are diverse in terms of content, composition and origin. The article reviews the unpublished Georgian manuscripts of gemological content: "Book of Gemstones and Pearls"; Qarabadin Q 916, H 406 - "For gemstones"; F.1446 № 388 - "For precious stones" the chronological framework of which includes the 17th - 18th centuries and the first half of the 19th century, and which we consider as a single cultural-historical and cognitive period that is evolutionarily connected with each other.

The studied material clearly shows the way of assimilation and transformation of relevant knowledge and tradition by the country at the crossroads of cultures by translating, processing and interpreting Eastern, Muslim and European/Russian sources; The mentioned traces and influence are gradually reflected in the vocabulary in the form of Greek, Arabic-Persian, Turkish, Russian and partially Latin borrowings.

Keywords: gemology; gems; manuscripts; sources;

ია ახვლედიანი

გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორი
 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
 ასოცირებული პროფესორი
 საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას 77,
 ORCID: <http://orcid.org/0000-0002-7846-2630>
Akhvledianiia@yahoo.com
 +995 555 348896

ირინა გოგონაია

პედაგოგიკის დოქტორი, ქიმიის მაგისტრი
 კორნელი კეკელიძის სახელობის
 საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
 სასწავლო და საკვალიფიკაციო პროექტების სამსახურის უფროსი
 თბილისი, ალექსიძის 1/3
 ORCID: 0000-0002-6540-2161
irinagogonaia@manuscript.ge
 577 795454

თამარ აბულაძე

ფილოლოგიის დოქტორი
 კორნელი კეკელიძის სახელობის
 საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
 ფონდების დაცვის, აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტის
 უფროსი-მთავარი მცველი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
 საქართველო, თბილისი, ალექსიძის 1/3
 ORCID: 000-0001-5666-0786
t.abuladze@manuscript.ge
 555 930069

ლიანა სამყურაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი
 კორნელი კეკელიძის სახელობის
 საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
 სომხური და აღმოსავლური ხელნაწერების განყოფილების
 მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
 საქართველო, თბილისი, ალექსიძის 1/3
 ORCID:0000-0002-0724-1320
liana.samkurashvili@yahoo.com
 +995 591 216829

აბსტრაქტი. საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებსა და სიძველეთსაცავებში დაცული ძველი ქართული ხელნაწერები ძვირფასი ქვების შესახებ მრავალფეროვანია შინაარსის, შედგენილობისა თუ წარმომავლობის თვალსაზრისით.

სტატიაში მიმოხილულია გემოლოგიური შინაარსის გამოუქვეყნებელი ხელნაწერები: „წიგნი თვალ მარგალიტისა და სხუათა მრავალთა საჯავართ სინჯის, თვალადობისა, ფასისა და ხასიათისა განაჩენისა“; კარაბადინი Q 916, H 406 - პატიოსან თვალთათვის; ფ.1446 N 388 - ქვათათვის ძვირფასთა, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს XVII - XVIII სს და XIX-ის პირველ ნახევარს და რომელსაც განვიხილავთ როგორც ერთმანეთთან ევოლუციურად დაკავშირებულ ერთიან კულტურულ-ისტორიულ და შემეცნებით პერიოდს.

შესწავლილი მასალა ნათლად გვიჩვენებს კულტურათა გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყნის მიერ შესაბამისი ცოდნისა და ტრადიციის ათვისებისა და ტრანსფორმაციის გზას აღმოსავლური, მუსლიმური და ევროპული/რუსული წყაროების თარგმნით, დამუშავებით და ინტერპრეტაციით; აღნიშნული კვალი და გავლენა ეტაპობრივად აისახება ლექსიკაში ბერძნული, არაბულ-სპარსული, თურქული, რუსული და ნაწილობრივ ლათინური ნასესხობების სახით.

საკვანძო სტყევები: სპეკალთმცოდნეობა/გემოლოგია; ძვირფასი ქვები; ხელნაწერები; წყაროები;

შესავალი

სპეკალთმცოდნეობა ანუ მეცნიერება ძვირფასი ქვების შესახებ, თანამედროვე გემოლოგიის საფუძველი, გარკვეული პირობითობით, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი უძველესი საბუნებისმეტყველო დარგთა შორის. საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებსა და სიძველეთსაცავებში დაცული ძველი ქართული ხელნაწერები ძვირფასი ქვების შესახებ მრავალფეროვანია შინაარსის, შედგენილობისა თუ წარმომავლობის თვალსაზრისით. ჩვენს მიერ შერჩეული მასალა მოიცავს XVII - XVIII სს და XIX-ის პირველ ნახევარს, რომელსაც განვიხილავთ როგორც ერთმანეთთან ევოლუციურად დაკავშირებულ ერთიან კულტურულ-ისტორიულ და შემეცნებით პერიოდს.~

ქართული ხელნაწერები ძვირფასი ქვების შესახებ შეიძლება დავაჯგუფოდ ორ კატეგორიად: უკვე გამოქვეყნებული და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი. ცალკე ჯგუფია პარალელური ტექსტები ან განსხვავებული ხასიათის მასალები (პოეზიის ნიმუშები, პორტრეტები, ფრესკები, ჩანახატები, რეალური ნივთები) გამოყენებული ანალიზის პროცესში. აგრეთვე უცხო წყაროები, რომელშიც მოიპოვება ინფორმაცია ჩვენი ინტერესის ობიექტზე შერჩეულ ეპოქასა და არეალში. კვლევის მიზანია ავსახოთ, ერთი მხრივ ქართული მეცნიერული აზრის ჩამოყალიბების ეტაპები და მკვებავი წყაროები, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოების ყოფა, რწმენა-წარმოდგენები, ესთეტიური მოთხოვნილებები და კულტურული გავლენების მიმღეობა, განპირობებული კონკრეტული ეპოქის ისტორიული ორიენტაციებით. სტატიაში შემოვიფარგლეთ გამოუქვეყნებელი ხელნაწერების ანალიზით, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, მოვიხმობთ მსგავს ან პარალელურ მასალას გამოქვეყნებული წყაროებიდან.

მეთოდები

კვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა ხელნაწერების მოძიება საქართველოს საცავებში. არქეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე (ზომა, მასალა, მელანი, ფურცლების რაოდენობა) ბარათების ფორმის შემუშავება და შედგენა, მათ შორის შემდგომში კომპიუტერული მონაცემთა ბაზის შესაქმნელად. დამზადდა ფოტოასლები. მომდევნო ეტაპებზე მოხდა ხელნაწერთა კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური ანალიზი, რამაც მათი დათარიღებისა და წარმომავლობის დაზუსტების საშუალება მოგვცა.

სტატიაში განხილულ წყაროებზე დაყრდნობით ჩატარებული ინტერდისციპლინარული კვლევა მიზნად ისახავდა ძვირფასი ქვების შესახებ ცოდნის პროფესიულ ანალიზსა და ინტერპრეტაციას ხელნაწერების კულტურულ-ისტორიული გარემოს თავისებურებების გათვალისწინებით. კვლევის პროცესში მიმდინარეობდა მასალის დამუშავება თანმხლები განმარტებითი და სიმფონიური ლექსიკონების შესადგენად.

შედეგები

გემოლოგიური შინაარსის ქართული ხელნაწერების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება:

1. კვლევის შედეგებმა საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა XVII - XVIII სს და XIX-ის პირველი ნახევარის გამოუქვეყნებელი წყაროები ძვირფასი ქვების შესახებ, რომლებიც ასახავს ქართველ მწიგნობართა და მათი თანამედროვე საზოგადოების ცოდნას სპეკალთა თვისებების, დიაგნოსტიკის, დამუშავების, მოპოვების და ვაჭრობის შესახებ;

2. შესწავლილი მასალა ნათლად გვიჩვენებს კულტურათა გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყნის მიერ შესაბამისი ცოდნისა და ტრადიციის ათვისებისა და ტრანსფორმაციის გზას აღმოსავლური, მუსულმანური და ევროპული/რუსული წყაროების თარგმნით, დამუშავებით და ინტერპრეტაციით;

3. აღნიშნული კვალი და გავლენა ეტაპობრივად აისახება ლექსიკაში ბერძნული, არაბულ-სპარსული, თურქული, რუსული და ნაწილობრივ ლათინური ნასესხობების სახით.

დისკუსია

სპეციალურ გამოუქვეყნებელ ტექსტებს შორის აღსანიშნავია ხელნაწერი ვრცელი სათაურით „წიგნი თვალ მარგალიტისა და სხუათა მრავალთა საჯავართ სინჯის, თვალადობისა, ფასისა და ხასიათისა განაჩენისა“. ჩვენს საცავებში ამ მეტად პოპულარული ძეგლის, სხვადასხვა დროს გადაწერილი, 7 ნუსხაა დაცული: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში (H-181:90r-140v; H-758:49r-81v; H-3264:57v-94r; H-3016:1r-4r; S-3722:1r-44v), საქართველოს ეროვნულ არქივში (კოლ.1446, N204) და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (K-242:). ეს ხელნაწერები ქრონოლოგიურად XVII-XVIII სს. განეკუთვნება. ხელნაწერის სამ ვერსიაში მითითებულია, რომ ის სპარსულიდან გადმოწერილია ანუ ნათარგმნი: „ესე წიგნი სპარსთაგან გარდამოწერილი არის“ (H-758:49r; H-181:90r); „ესე წიგნი სპარსთაგან ნათარგმნი არს“ (K-242:1r-72r).

შესავალში (იმ შემთხვევაში, თუ ის დაცულია) გაცხადებულია ძვირფასი ქვების შესახებ მონაცემთა წყარო „მეცნიერთა და შემტყობთა კაცთაგან ნათქოამი“ და დაკვეთის მიზანი: „დაწერილი ხელმწიფეთა სალაროთი შიგან სადებლად. ვინცა ამ განაჩენსა მიჰყუეს რომელთაგა რიგითა გამორჩეული და დაფასებული არის იგი არა დაზიანდების“ (H-758: 49r; H-181: 90r; K-242:1r-1v).

თხრობა მიდის პირველ პირში: „ჩემითა თვალითა მოვიხაზე“, „მე საწყალსა რომე მინახავს ორი სახელოვანი და ძვირფასისა თუალი“, „ჩემისა ჟამშიგან ვაჭართა ხელშიგან ვნახე“, „მე უღირსი იქი ვერ მისრულვარ და რომ მასმია საფრანგეთსა მათი სასაფლაო არის“ (H-758: 49r); „მრავალი თემი დამივლია, მრავალი ჯავარის მეცნიერი კაცი მინახავს“. წიგნი დაწერილია კომერციულ საკითხებში გამოცდილი და ძვირფასი ქვებით ვაჭრობის კარგი მცოდნე ადამიანის მიერ, რომელიც გვიზიარებს თავის გამოცდილებასაც. ამ ეტაპზე უცნობია ავტორის

ვინაობა. მისივე მტკიცებით, ვგულისხმობთ შესავალს, ის არის სპარსული წყაროების გარდამთქმელი. არ ვიცით, არის თუ არა ის ამავდროულად ტექსტის ქართულად მთარგმნელი.

ხელნაწერის სრული ვერსია უნდა შეიცავდეს 12 კარს: „თორმეტი კარი არის და თორმეტთა სახელმწიფოთათვის თქმული“ (კარი ალმასისა; კარი იაგუნდისა; კარი ლალისა; კარი ზურმუხტისა; კარი ფეროზისა; კარი მარგალიტისა; კარი ფაზარისა; კარი ამბარისა; კარი ლაჟვარდისა; კარი მოწისა; კარი აყიყისა; კარი ეშმისა). ხელნაწერები ერთმანეთისგან მცირედ განსხვავდებიან ენობრივად, ტექსტის სისრულითა და დაცულობით.

მვირფასი ქვების რაოდენობამ, მორგებულმა რიცხვ 12-ზე - „თორმეტი კარისა“¹ და „თორმეტი სახელმწიფოს“ ხსენებამ გვაფიქრებინა, რომ შესაძლოა აქ „ციფრთა სიმბოლიზმთან“ გვაქვს საქმე, თუმცა ეპოქის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, რომ ეს მხოლოდ ტრადიციის მიმართ ხარკია, ერთგვარი „ლიტერატურული სამშვენისი“.²

ჩვენი აზრით, ხელნაწერი მიეკუთვნება შუა საუკუნეების აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელ ლიტერატურულ ჟანრს ე.წ. სავაჭრო წიგნებს, რომლებიც უმთავრესად იწერებოდა როგორც სახელმძღვანელო ვაჭრებისთვის და საქონლის მცოდნეთათვის: „რომელიც ამისი ვაჭარი სრულ და უკლებ მეცნიერი არ არის“. შესაბამისად, მათში მოცემულია: მვირფასი ქვების წონის ერთეულები და ხარისხოვრივი მახასიათებლები (ფერი, წყალი, ჯავარი, თვალადობა, სინჯი, მანკი, სიდუხჭირე, ჰაერი), გავრცელებული წარმოდგენები წარმოშობაზე, მონაცემები მოპოვების ადგილებზე, სავაჭრო ცენტრებზე, ნაწილობრივ დამუშავებაზე, გაყალბებაზე და გაკეთილშობილებაზე, აგრეთვე ფასებზე და ვაჭრობის პირობებზე.

ფრიად პრაგმატული კომერციული ინფორმაციის გარდა, ამგვარი ლიტერატურა, აღმოსავლური ტრადიციის შესაბამისად (რომელიც შეითვისა აგრეთვე დასავლეთის ლეპიდარიუმებმა), ბოლოვდება ქვების მაგიური და სამკურნალო თვისებების აღწერით: „ვისაც სამუდამოდ ალმასი თან აქვს ხელმწიფეთა და თავადთა წინაშე შეყვარებული იქნების და პატივცემული“; „უფროსთა აქიმათაგან ნათქვამი ასრე არის ვითა ვინცა იაგუნდი თანა იქონიოს ავუს ჟამისგან ანაზდათისა სიკვდილისაგან უვნო უზიანოდ იყვნენ“.

ქვების ჯადოსნური თვისებებისა და სამკურნალო ძალის რწმენას უძველესი ფესვები აქვს. ეს რწმენა შერწყმული არის ფილოსოფიურ დოგმასთან, რომ მთელი ბუნება ღმერთმა შექმნა და ის ასახავს ტრანსცენდენტული ღმერთის ყოვლისშემძლეობისა და მიზანდასახულობის სხვადასხვა ასპექტს. ასეთი განწყობით გაჯერებულია საანალოზო ტექსტიც: „სახელითა ღვთისითა“; „ღმერთსა ვიმოწმებ“, „ყოველთა დამბადებელსა ღმერთსა მრავალი ასეთი დაუბადებია რომე კაცის ჭკუა და გონი ვერ მიხვდების“ (H-181: 90r) და ა.შ. მთხრობელი არც

² სინამდვილეში, ტექსტში აღწერილი ქვების რეალური ჩამონათვალი უფრო ვრცელია და არ მიჰყვება აარონის სამკერდულის „ათორმეტ“ ქვას.

მაცხოვარს ახსენებს და არც ალაჰს, რაც არ გვაძლევს მისი რელიგიურ-კულტურული გარემოსადმი კუთვნილების დადგენის საშუალებას.

აღსანიშნავია აგრეთვე ვრცელი ბელეტრისტული „სიტყვაკაზმული“ ჩანართები - ისტორიები და ლეგენდები ძვირფას ქვებზე. ასეთებია: ფართოდ ცნობილი ლეგენდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმასების აღმოჩენისა და მოპოვების შესახებ³ „კიდურს ქვეყანას“, „სადა სიბნელესა მიიწურვის“, „საზღვარსა ბნელეთისასა“⁴; ობოლი მარგალიტის ისტორია; სახელგანთქმული შპინელების „დევა გოზისა“ და „ბუგრაქის“ თავგადასავალი; წითელი იაგუნდი „მნათობი“ და ცვილონის მმართველები „სელიანის ხელმწიფისა ფერმალი სსალაროშიგან იქნების“; ისტორია ეშმის უნაგირზე „შარუხის ცოლმან გვარშად თავის შვილის ბანსოღულისათვის ეშმის უნაგირი შეაქნევინა“; ისტორია დიდ ლელვაში მოხვედრილ ნავზე და ამბრის განძის აღმოჩენაზე.

არქეოგრაფია

ხელნაწერების ნუსხების შესახებ:

ხეც S - 3722 ფურცლების რაოდენობა: (44 ფ. გვ. 1r – 44r ზომები: 23 x16,5 სმ; მასალა: ქაღალდი ყავისფერი ტყავის ტვიფრული ყდა, ქსოვილის ყუთი; თავნაკლული ხელი: მსხვილი ლამაზი მხედრული; მელანი: შავი ტექსტის ბოლოს არის საშუალო ზომის ბეჭედი სომხური ლეგენდით „მონა ქრისტესი ჰოჯანეს“ (44r) არის მინაწერი „მეფის სძალ წერეთლის“ (ზემო ყდის შიდა მხარეს); და „უმეკანთ სტეფანე“ (ქვემო ყდის შიდა მხარეს).

თარიღი: XVIII ს. პირველი მეოთხედი. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით.

შენიშვნა: ვრცელი ვერსიაა, შედარებით სრული, თუმცა, სამწუხაროდ, თავ-ბოლონაკლულია; კარი ძოწისა დაუსრულებელია, აყიყის - არეული. (ხეც: S ფონდის აღწერილობა. 1963, გვ.233;)

ხეც H-758 (30 ფ. გვ.51r – 81v, ფურცელს. ზომა 20x16სმ; მხედრული)

თარიღი: XVIII ს.

შენიშვნა: ჩართულია მოკლე კარაბადინში. ბოლონაკლულია: აკლია კარი ძოწის, აყიყის, ეშმის. პროფესიული ცოდნის თვალსაზრისით ყველაზე ზუსტი და ვრცელი ტექსტია.

(ხეც, H ფონდის აღწერილობა, 1946, გვ.141-142)

³ ამ ლეგენდის რამდენადმე განსხვავებული ვერსია მოცემულია ხელნაწერებში Q-916 და Q-877. პარალელურად სომხურ ტექსტში მოხსენებულია, როგორც ბნელი ქვეყანა **ზულუმატი**.

ხეც H - 181 (57ფ. გვ. 90r – 140v ფურცელს. ზომა 15.3 x11 სმ; ქალაქი; ხელი: მხედრული მელანი: შავი ძირითადი ტექსტი, წითელი სინგურით გამოყოფილია სათაურები. თავები მონიშნულია ქანწილებით (ქ:).

თარიღი: 1794 წ.

შენიშვნა: ჩართულია მოკლე კარაბადინში. ბოლონაკლულია: აკლია კარი ლაჟვარდის, ძოწის, აყიყის, ეშმის. ტექსტი ზოგან შემოკლებულია და ახლავს შინაარსობრივი უზუსტობები. ეტყობა რედაქტირების კვალი. გადამწერები და რედაქტორებია *კორნელი და თომას ჩაჩიკაშვილები*.


(ხეც, H ფონდის აღწერილობა, 1946, გვ. 126-127)

ქიმ K – 242 (2433) 73 ფ. ზომები: 18.5x14 სმ, ქალაქი, ყდა: მუყაოს ყდა ჭრელი ნაცრისფერი ორმანენტით, ყავისფერი ყუა. კალიგრაფიული მხედრული; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდგომ იხმარება წერტილი. მელანი: შავი - ძირითადი ტექსტი, სინგურით; შედგენილია სარჩევი და გამოყოფილია სათაურები.

თარიღი: 1725 წ.-ის 5 მარტი

ტექსტის ბოლოს (72r) მინაწერია: „ქ[ორონი]კ[კონ]სა უიგ მარტის ე აღიწერა წიგნი ესე ხელითა თუმანიშვილის მდივნის დავითისითა“.

შენიშვნა: ხელნაწერის 7 ვარიანტიდან ყველაზე სრულია, მაგრამ ტექსტი H-758-თან შედარებით შემოკლებული უნდა იყოს და ბოლო აყიყის კარი აქაც არეულია, ტექსტის ნაწილი მიერთებულია ძოწის კართან და შემდეგ ისევ თავიდან მეორდება.




K – 242 (ქ.ი.მ.2433), 1v-2r

არქივი, კოლ.1446 N 204 (38 ფ. ზომები: 16.8x11,0 სმ, მცირე ფორმატის წიგნი. მასალა: ჭვირნიშნიანი ქაღალდი, ჭვირნიშანი „დოქი“ და „გამლილი ხელი“ (იხ.ფოტო). ყდა: მოცისფრო-ნაცრისფერი, ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა და დამცავი ფურცლები; ყავისფერი კალენკორის ყუა; ახლად რესტავრირებულია; ყდაზე ეროვნული არქივის ლოგო და წარწერა; ხელი: მსხვილი, ლამაზი კალიგრაფიული მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდგომ იხმარება სამი წერტილი. ყოველი კარის შემდეგ შავი და წითელი მეღნიტ დასმულია მრავალწერტილოვანი ორნამენტი (4r). მეღანი: შავი ძირითადი ტექსტი, წითელი სინგურით გამოყოფილია სათაურები, ქვების სახელწოდებები და ზოგიერთი სხვა სიტყვა ტექსტში მაგ. *ღვთისა*).


თარიღი: XVII - ის დასაწყისი.

შენიშვნა: პირობითი სათაურია „მინერალთა თვისებანი და მოთხრობანი მათ გამო“. ითვლება, რომ ხელნაწერის ვერსიათა შორის ყველაზე ძველია. დათარიღების საფუძველია - პალეოგრაფიული ნიშნები. მაგრამ დასაზუსტებელია. თარიღის დაზუსტების საშუალება შეიძლება მოგვცეს ჭვირნიშნებმა. გარკვეული პერიოდი ხელნაწერი ეკუთვნოდა სიმონ ქორიძის ბიბლიოთეკას წყალწმინდაში. ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია პოლიევქტოს კარბელაშვილისაგან 1925 წელს (გურჯაანი).



არქივი კოლ.1446 N204, 23v-24r

თავ-ბოლონაკლულია; გარდა ამისა, აკლია კარი ლაჟვარდის, მოწის, აყიყის, ეშმის, ამბრის; რესტავრაციისას თავიდან არის აკინძული. ფურცლების რიგი არეულია, სავარაუდოდ, აკინძვის დროს; ტექსტი თავიდან არის ასაწყობი - ფურცლების ქვედა კიდეზე პაგინაციაა გვერდობრივი - მხედრულით - ვ, ზ, ზ, თ, ი, კ (5v-8r), მაგ. ზ=5r, ზ=6r და ა.შ. თორმეტი კარიდან ფრაგმენტულად წარმოდგენილია მხოლოდ 7. კარი ალმასისა [თავნაკლულია, 2r - 4r], კარი მეორე იაგუნდისა [4r- 9v, ტექსტი არასრულია; ჩართულია უცხო ტექსტი, გვიანდელი (იხ.ჩანართი ფ.9v); კარი პირველი ლალის ამბავი [10r-14v, ტექსტი არასრულია], კარი პირველი ზურმუხტისა [14r-v; ბოლონაკლულია], კარი პირველი ფეროზისა [2v, დასაწყისი; 33r დსასრული; ბოლონაკლულია], კარი მარგალიტისა [არეულია და ფურცლები მოთავსებულია კრებულის სხვადასხვა ნაწილში, 2r; 5r-32r; 36r-38r;], კარი ფაზაჰარისა [32v; 34r - 35v, თავ- და ბოლონაკლულია].



არქივი, კოლ.1446 N204 ჭვირნიშნები - „დოქი“ და „გაშლილი ხელი“

ხელნაწერს აქვს ორი მინაწერი და ერთი ჩანართი გვიანდელი მხედრულით:

მინაწერი მუყაოს ყდის ზედა ფრთის ფორზაცზე: „ესე არს ერთ დროს დიდებული საქართველოს კვალი, ოდესაც მეფეები მეფობდენ და ერნი ერობდნენ. ქრისტე, ნუ დაუტევებ საქართველოს ობლათ და შემიწყალე სიმონ და იოსებ წყალწმიდლები ჩყუ (1890) წელსა“ (ყდის ზედა ფრთის ფორზაცზე).

მინაწერი მე-3r-ზე, მარცხენა არშიაზე იმავე ხელით: „ქრისტე, ნუ დაუტევებ სრულიად საქართველოს ობლათ და შემიწყალე მე სიმონ და ჩემი სულიერი ძმა იოსებ წყალწმიდელი, ჩყუ (1890) წელსა“

ჩანართი 9v-ზე იაგუნდის შესახებ (მიწერილია ფურცლის არშიაზე): „წყურვილსა გარდაუგდებს“; „სურდოს უშველის და კაცსა [გადაშლილია] მოამხიარულებს ხშირად“; „იაგუნდის შეხედვა ბნედას უშველის, შემცდარს გაამართლებს და კაცი რომე მუდამ ავად იყოს და ილევოდეს მას არგებს და მისი მაჯუნის შექმნა მრავალსა სენსა გაიღებს და განსწმენდს, სიმხურვალეს მოუმატებს“

ხეც, H 3016; 8 ფ; ფურცლის ზომა 21,5x15,7სმ; ქალაღი, უყდო ფრაგმენტი; პირველი ფურცლის მეოთხედი მოხეულია; მასალა: დიდი ფორმატის ქალაღი; ხელი: მხედრული, ძნელად იკითხება ცუდი დაცულობის გამო; მელანი: შავი - ძირითადი ტექსტი და წითელი სინგურით სათაური და მიმყოლი ტექსტის ნაწილი;

თარიღი: XVII საუკუნე

შენიშვნა: არის მხოლოდ ტექსტი მარგალიტისა (თითქმის სრულად) და ზურმუხტის კარი (მხოლოდ ნაწილი - მაგიური და სამკურნალო თვისებები) შემოწირულია დოდო ფურცელაძის მიერ, 1925 წ.

ხეც H 3264 (102 ფ. ზომები: 22x16,5 სმ; მასალა: ქაღალდი; დაზიანებულია ფურცლები დალაქავებულია და ზოგან ამოვარდნილი; თავ- და ბოლონაკლებია; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ხელი: მხედრული მელანი: შავი


თარიღი: XVIII საუკუნე

შენიშვნა: ჩართულია კარაბადინში.

გადამწერები, შემკვეთები, მფლობელები

ქიმ K - 242 თუმანიშვილები. ხელნაწერის ბოლოს მინაწერია: *ქ[ორონი]კ[ონ]სა უიგ მარტის ე [1725 წლის 5 მარტს] აღიწერა წიგნი ესე ხელითა თუმანიშვილის მდივნის დავითისითა.*

თუმანიშვილები — [საქართველოს სამეფო](#) კარის მდივან-მწიგნობართა გვარია. მდივან-მწიგნობრობა სამეფო კარზე ერთ-ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა იყო, რომელიც ოფიციალური დოკუმენტების შედგენასა და სიგელ-გუჯრების წერაში დახელოვნებას მოითხოვდა. ამასთან ერთად, მდივან-მწიგნობრები ხელნაწერებსაც გადაწერდნენ ხოლმე. მდივან-მწიგნობრობა, მეტწილად, საგვარეულო პროფესია იყო და თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ ცნობილი გვარი, რომელიც სამეფო კარს მდივან-მწიგნობრებით ყველაზე უხვად ამარაგებდა, თუმანიშვილების გვარი იყო. მათი ბევრი წარმომადგენელი იღვწოდა ქართული კულტურის ამ სარბიელზე, მათ შორის XVIII საუკუნეშიც.



ქ[ორონი]კ[ონ]სა უიგ მარტის ე [1725 წლის 5 მარტს] აღიწერა წიგნი ესე ხელითა თუმანიშვილის მდივნის დავითისითა. 71v-72r

საქართველოს ეროვნული არქივის ქართული ისტორიული ძეგლი საბუთების ფონდში 1448 ჩვენი ყურადღება მიიქცია საბუთმა საქმე 1038, ქრონოლოგიური ჩარჩო 1717-1719 წ.წ. ეს არის მამულის წყალობის წიგნი, მიცემული მეფე ბაქარის მიერ იესე გარსევანიშვილისადმი დამწერი კარის მდივანი დ ა ვ ი თ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. ბაქარი ვახტანგ VI-ის ძე ქართლის ფაქტობრივი მეფე იყო 1716–1719 წ.წ., ვახტანგ VI-ის ირანში ყოფნის დროს. 1724წ. მამასთან ერთად რუსეთში გადასახლდა. ვახტანგ VI-ის ამაღლება იყვნენ თავადი თუმანიშვილებიც. შესაძლოა ამ წრეს ეკუთვნოდა ხელნაწერის K – 242-ის გადამწერი დავით თუმანიშვილიც.

ხეც H-181 ჩაჩიკაშვილები. კალიგრაფ-მწიგნობართა ოჯახია. მოღვაწეობდნენ XVIII-XIX საუკუნეებში. ჩაჩიკაშვილების ოჯახში ხდებოდა ხელნაწერთა გადაწერა, აკინძვა, შევსება, გამართვა, რედაქტირება, გავრცობა. თანაბრად იყვნენ გაწაფულნი ნუსხურსა და მხედრულ კალიგრაფიაში.

მათ შორის ყველაზე დახელოვნებული და აღიარებული კალიგრაფი იყო ნიკოლოზ ასლამაზის ძე ჩაჩიკაშვილი. გაწაფული კალიგრაფები იყვნენ ნიკოლოზის ვაჟები: კორნელი || კორნელიე დაბადებული 1763 წელს და თომა – 1766 წელს (S-2572, 337v). ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს შეუვსია და აუკინძავს „რუსუდანიანი“ (S-3698, 1789 წ.) კორნელის გადაწერილია „ომანიანი“ (S-3163, 1782 წ.). კორნელის და თომას ერთად გადაუწერიათ სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე სიცრუისა (S--3011) და ჩვენთვის საინტერესო საერო ხასიათის

ხელნაწერი კრებული (H-181, 1794 წ.).

S-3722 ქეთევან წერეთელი.

იმერეთის სამეფო კარის სახლთუხუცესის ზურაბ წერეთელის ქალიშვილი ქეთევანი (1773-1823) იყო ქართლ-კახეთის მეფის გიორგის XII - ს რძალი, მეუღლე სახელმწიფო მოღვაწის, გამოჩენილი მებრძოლისა და სარდლის, განმანათლებელ-ენციკლოპედისტის, მწერლის, მეცნიერისა და ლექსიკოგრაფის, "კალმასობის" ავტორის იოანე ბატონიშვილისა (1868-1830). ამასთანავე ქეთევანი არის საქართველოს, როგორც ფიქრობენ, უკანასკნელი გვირგვინოსნის გრიგოლ I - ის დედა.

ქეთევანი - ღრმად მორწმუნე მანდილოსანი, ქართული მწერლობის საუკეთესო მცოდნე და დამფასებელი ყოფილა. ქეთევანი მნიშვნელოვანი ქართული წიგნების გადაწერის თაოსანი ჩანს. მისი შეკვეთით არაერთი ძველი ქართული ხელნაწერი გადაიწერა. წიგნისადმი სიყვარული და ზრუნვა მან თავის ერთადერთ ძესაც ჩაუნერგა.

სწორედ ზემოთქმულის დამადასტურებელია გრიგოლ ბაგრატიონის ნაქონი ერთ-ერთი წიგნის შემდეგი მინაწერი: «ეს წიგნი მეფის რძლის, წერეთლის, სახლთუხუცეს ზურაბის ასული ქეთევანის იყო და იმის მიცვალების შემდგომად დაშლილიყო და ძემან მისმან, მეფის ძის ძემ გრიგოლმა შევაკვრევინე სამ მინალთუნად სულისა მისისა საოხად. მკითხველნო, შენდობას უყოფდით». 1823 წელს, იგი პეტერბურგში, 51 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცული XVIII საუკუნის „რუსუდანიაის“ ხელნაწერი გადაწერილია ქეთევან წერეთლის ბრძანებით, დაახლოებით 1788 - 1790 წლებში. ხელნაწერი იწყება სიტყვებით: „ღმერთო ადღეგრძელე საქართველოს მეფის სძალი, იმერეთის სახლთუხუცეს წერეთლის ასული ქეთევან, მემცხედრით და ძით თვისით გრიგოლით“. ჯრუჭის მონასტრის ხელნაწერებს შორის იყო სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი, რომელიც 1808 წელს გადაუწერია იოანე იაღლუზის ძეს, ხოლო დამკვეთი ისევ იყო "საქართველოს მეფის სძალი, წერეთლის ასული ქეთევან" (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, K - 72).

ხეც S-3722 უმეკაშვილი. უმეკაშვილი-უმეკაშვილი ქართული გვარ-სახელია. სამართლებრივ ძეგლებში მოიხსენიებიან „უმეკაშვილი – უმეკანთ – უმეკათ“; გვარს, სულ ცოტა, 7-8 საუკუნის ისტორია აქვს და ბევრი გამოჩენილი პიროვნებაც ჰყავდა.

არქივი 1446/204 წყალწმინდლები. 1883 წელს ხელნაწერი „ავგაროზი“ შეუძენია წყალწმინდის წინამძღვარ სიმონ ქორიძეს (53v-54r); მინაწერი ამ ხელნაწერზე გვიანდელი მხედრულით გვაცნობს: „ეს სამეურნალო ავგაროზი შევიძინე ჩყვ (1893) წელსა უდაბურ წყალწმინდის მმართველმან სიმონ ქორიძემ. ღმერთო, მოგვიხსენე თავდადებულნი ძმანი იოსებ და სიმონ წყალწმინდელნი, ქორიძე და ლეჟავა“ (53v-54r, მარცხენა არშიაზე). XIX საუკუნის მიწურულიდან სიმონ ქორიძეს სოფელ წყალწმინდაში დაარსებული ჰქონდა ქართული ხელნაწერების ბიბლიოთეკა და ქართული სკოლა.

შინაარსობრივ-სტრუქტურული აღწერილობა

ხელნაწერები შეიცავს საგულისხმო მონაცემებს ძვირფას ქვებზე დეტალურად აღწერილია სპეკალები: **ალმასი** [ლეგენდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ალმასების მოპოვებისა „ზნელ ქვეყანაში“; ალმასი ათიყი (არ. عقيق ძველებური) და ჯადიდი (არ. جادى ახალი); ალმასის კრისტალების ფორმის შესახებ „ექვს ექვს კუთხი იქმნების, რომელსაცა მხარეს გადააბრუნვებ თვით მწვეტი წყერი უმაღლეს დარჩების ..“; ალმასის ევროპაში გათლის შესახებ „ამისი შექმნა და გათლა ფარანგთა უკეთ არავინ იცის“, „ალმასის გათლა არ იციან საფრანგეთისა კიდე“; ალმასის ფერები (შაქრის ფერი, ბროლის ფერი, ზეთის ფერი, ფუსტულის ფერი, ყვითელი, წითელი, შავი); წონის ერთეულები და ალმასის ხარისხის, წონისა და ფასების შესახებ; ცნობა გუჯარეთის ხელმწიფის აჰმადბეგის სალაროს შესახებ; ალმასის მოპოვების შესახებ - ქალაქები ქალბარგა (კალაბურაგი) და ბიდარი; ვაჭრობა შამთან (სირია) და საფრანგეთთან (ევროპა); ალმასის სიმაგრე „ყოვლისა ქვასა ალმასი უმაგრესი არის“; ალმასით სხვა ქვების დამუშავების შესახებ „რაცა მაგარი ქვა არის მით გაითლების და გაიხვრიტების“; ალმასის მაგიური და სამკურნალო თვისებების შესახებ]. **იაგუნდი** [იაგუნდის მოპოვება კუნძულ ცეილონზე (საილანი, სარანადირი); იაგუნდის ფერი წითელი (7 ელფერი), ლურჯი (5 ელფერი), ყვითელი (4 ელფერი), თეთრი (ბროლისფერი); ცეილონის სხვა სპეკალების შესახებ („**აინაჯელ**, ვითარცა კატის თვალი“, „**რავა**, არაბნი **ბანაგმას** ეძახიან“, **ზაზარჯადი**); „მართალისა“ და „მორთულის“ გარჩევა, გამოცდა ჩარხით და ცეცხლით „წითელსა იაგუნდსა ოცდაერთი სინჯი უნდა“; ხარისხისა და ფასების შესახებ; **გარინიქო** (ინდ) ანუ „**ინდური ლალი**“ (არაბ.); **იამანური ლურჯი იაგუნდი**; ცეილონის ხელმწიფე „ფაურმალი“; ფრანგების მიერ ყვითელი იაგუნდის მინით იმიტაციის შესახებ; იაგუნდის გახვრეტა ალმასით „ჯავარიანთა სულთანი ალმასი არისო“; იაგუნდის მაგიური და სამკურნალო თვისებები]. **ლალი** [ისტორია ლალის აღმოჩენის შესახებ ბადახშანში; ბადახშანი სოლომონის ტახტი; შახრუჰი და ორი სახელოვანი შპინელის ისტორია - „დევა გოზი“-სა (აქლემის თვალი, ოცდაათი მიტყალი) და „ბუგრაქ“-ის (თირკმელი, ოცდათორმეტი მიტყალი); ლალის ფერი (7 ელფერი); სავაჭრო ცენტრები ქოლბარგი და ბადრისა, ლალის სანკურნალო თვისებები, ლალის თანმხლები მინერალი **ბეჯადი** (გრანატი) „ბეჯაზი ლალის ვაზირი არისო“, **ზურმუხტი** [მისრეთის (ეგვიპტური) ზურმუხტის საბადოს შესახებ; ზურმუხტი საფრანგეთის საბადოდან „სასაფლაო არის და იქ ითხრების“ (ჰაბატჰალი ?); ზურმუხტის ფერი (რაზიანი და ქერის ხასილი); სპეკალთა ხარისხი - თვალადობა, ფერი და წყალი, ზურმუხტის მაგიური და სამკურნალო თვისებები], **მარგალიტი** [მარგალიტი“ სამის თემისგან გამოვა“, „ყატიფის ზღვა არის რომე ურმუზის შესავალი“, „კუნძული ყატიფისა და ბარნის ზღვის შიგა“, „ბაჰრი“ (კუნძული ბაჰრეინი), „კუნძული ყალის“; ლეგენდა სახელგანქმულ ობოლ მარგალიტზე (ოთხი მიტყალი და ნახევარი დანგი); ყენი აბდულ-მალიქი; „მორთული მარგალიტი“; „ჭურმუხული მარგალიტი“; ინდოეთის სარეწები სარანდიბი, შამატარი და ბანგალი; მისრეთი - ზღვა სახელად „იემანი“; წარმოდგენა მარგალიტის წარმოშობაზე „სადაფი სულიერი არის, მისსა ხორცსა კვერცხის ცილის გემო აქუს; თევზსავით ქუირითს დაჰყრის; მისი ბარტყი იმავე ქუირითისაგან დაიბადების და ასრე

იქმნების, დასტურობით ნათქვამია, (27r) ვითა რაჟამსა ხუთისა წლისა შეიქმნების“; მარგალიტის ფერის, ხარისხისა და ფასების შესახებ; მარგალიტის სამკურნალო თვისებები; „წამხდარი და მოყვითალებული მარგალიტის მკურნალობის შესახებ“; **ფეროზი** [ფირუზი „ოთხი თემით გამოვა“; ნიშაბურის საბადო, საბადოს აღმომჩენი „აბულისჰყანი“; მეორე საბადო „მურყანდის ტახტის იქით თემსა ჰოჯანანდი ჰქვიან“, მესამე საბადო „ქირმანის ქვეყანასა არის ადგილი შაბავაქი“, მეოთხე საბადო „ერზანგის სიახლოსა მათა არის დიდი“, ფირუზის ხარისხის შესახებ, ფირუზის სამკურნალო და მაგიური თვისებები], **ფაზაჰარი** [სამკურნალო თვისებები; წარმოშობის შესახებ „ველური თხის მუცელშიგან იქმნების“; ხატაური ირემის **მუშკის** შესახებ; **მუმიის** (მუმიოს) წარმოშობის შესახებ; ნამდვილი ფაზაჰარის ამოცნობა], **ამბრი** [არგუმენტები ამბრის ძვირფას ქვათა, „ჯავარიანთა“ ჩამონათვალში შეყვანისათვის; ამბრის აწროშობის შესახებ ზღვაში მოხვედრილი ფუტკრის ცვილისგან; ამბრის მოპოვების ადგილებისა და ხერხების შესახებ (არაბეთი და აფრიკის სანაპირო); ამბრის მამიებელ მეზღვაურთა ისტორია; ხარისხი და ფასი; კოსმეტიკური და სამკურნალო თვისებები], **ლაჟვარდი** [საბადოები ბადახშანი და ქაშანი; მისასვლელი გზები; ფერის მომატება გახურებისას, დამოკიდებულება ცეცხლთან; ბადახშანი „სოლომონის ტახტი არის და ლაჟვარდის ქანი მან აღმოაჩინა“; არა ძვირფასი ქვა, არამედ ბუნებრივი ლურჯი პიგმენტის ნედლეული; ლაჟვარდის სახეობების, მათი მოპოვებისა და დამუშავების შესახებ] ძე, **ლაჟვარდი** [საბადოები ბადახშანი და ქაშანი; მისასვლელი გზები; ფერის მომატება გახურებისას, დამოკიდებულება ცეცხლთან; ბადახშანი „სოლომონის ტახტი არის და ლაჟვარდის ქანი მან აღმოაჩინა“; არა ძვირფასი ქვა, არამედ ბუნებრივი ლურჯი პიგმენტის ნედლეული; ლაჟვარდის სახეობების (ბადახშური და ქაშანური), მათი მოპოვებისა და დამუშავების შესახებ], **ძოწი** [„სამი თემიდან გამოვა“ - ტუნაშ (ტუნისი), „ქითალანი ჰქვიან საფრანგეთი არის , „უზადო არის ურმუზის ზღვაშიგანაცა“; თეთრი და შავი მარჯანი]; **ეშმა** [„ხატაეთისა კერძოდ დიდი სახელმწიფო არის ხუთანს ეძახიან, მუნ დიდი წყალი არის ადანჯანისკენ ჩადის და ეშმი იმა წყალთაგან არის“; ეშმა თეთრი და ზეთის ფერი; ეშმის სარტყელი; ფრანგებისა და ხატაელების კვეთის ხელოვნების შესახებ; შარუხის ცოლი გუარშად და ეშმის უნაგირი ბანსოლულისათვის. სამკურნალო თვისებები]. **აყიყი** [„სამი თემიდან გამოვა“ - იამანეთი, გუჯარათი, ქალბარგი; იამანური აყიყის საუკეთესო ხარისხის შესახებ, მაგიური და სამკურნალო თვისებები]

პარალელური მასალა: არაკელ თავრიზელი, კ.პატკანოვი და მისი წიგნი.

“და ყველაფერი, რაც ქვემოთ დავწერეთ ქვებზე, დიდი ხანია ნიმუშად გვქონდა და შვეიცარიის [თავში] და ჩავწერეთ მკითხველთა სასარგებლოდ, ღვთის სადიდებლად” (არაკელ თავრიზელი, „ისტორიათა წიგნი“, თავი 54-ე, 1590 - 1670)

1873 წელს კ.პატკანოვს გამოეცა XVII საუკუნეში მცხოვრები არაკელ თავრიზელის (თავრიზელის) ისტორიული ტრაქტატი. ტექსტზე მუშაობისას პატკანოვმა აღმოაჩინა სამი ხელნაწერი, სულ 19 გვერდი, რომელიც სრულებით არ ეხებოდა საგანს, მაგრამ რომელიც ავტორმა დაურთო, როგორც ის ამბობდა ცნობისმოყვრე ადამიანებისთვის. სამივე ტექსტი შეიცავდა ცნობებს ძვირფასი ქვების თვისებებზე. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნოდა სასულიერო პირს, რომელმაც იცოდა სომხურის გარდა კიდევ 5 ენა - არაბული, თურქული, ფრანგული, ბერძნული და ებრაული. ის ცხოვრობდა ალეპოში, ფლობდა საიუველირო ხელობას და არაკელის თხოვნით დაწერა მოკლე სტატია (A). მეორე ტექსტი იყო უცნობი ავტორის ხელნაწერი, რომელიც მოხვდა არაკელის ხელში (B) და ბოლოს მესამე ხელნაწერი იყო ნაწყვეტი ძვირფასი ქვების შესახებ რომელიც სააქიმო წიგნიდან (C). საბოლოოდ რუსულად გამოიცა კ.პატკანოვის პატარა წიგნი „ძვირფასი ქვები, მათი სახელები და თვისებები მე-17 საუკუნის სომხების ცნობების მიხედვით“ [Патканов, К.П., 1873]. ავტორი თავდაპირველად ნახსენები სამი ფრაგმენტის მხოლოდ თარგმნას აპირებდა, თუმცა, თარგმანზე მუშაობის დაწყების შემდეგ, თარგმანი გადაიზარდა კვლევად. მთარგმნელმა დაურთო ტექსტს წინასიტყვაობა და დეტალური კომენტარი, ორიგინალური სომხური ტექსტის ასლები და შეადგინა ტექსტში უხვად გამოყენებული უცხო სიტყვების ლექსიკონი.

ხელნაწერის ფრაგმენტები თავიდან ითარგმნა ჩვენს დროში არაკელ თავრიზელის „ისტორიის“ მესამე გამოცემის მიხედვით[.]

ტექსტის (B) და (C) ფრაგმენტები სინამდვილეში ერთი ხელნაწერის ნაწილები აღმოჩნდა - „თორმეტი კარი“, რომელიც მსგავსებას ავლენს ჩვენი ხელნაწერების ტექსტთან. სომხური ტექსტი უფრო მოკლეა, ერთგვარი კონსპექტია, მაგრამ ქართულ ხელნაწერებთან შედარებამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა მსგავსება და განსხვავება, რომელმაც გაგვიადვილა ბუნდოვანი ადგილების წაკითხვა, როგორც ქართულ ნუსხებში, ასევე სომხურ ხელნაწერებში და შეავსო ჩვენი ხელთ არსებული მონაცემთა ბაზა. გარდა რუსული თარგმანებისა, ანალიზის დროს ვსარგებლობდით უშუალოს სომხური ტექსტიდან შესრულებული ქართული თარგმანით (მთარგმნელი ხ.გაფრინდაშვილი)

ცოდნა

ხელნაწერის ნუსხები შეიცავს საგულისხმო მონაცემებს ძვირფასი ქვების ხარისხობრივ მახასიათებლებზე. ქვების გარეგანი თვისებების აღწერას - მათი ფერის, გამჭვირვალობის, სიკაშკაშის, ზოგჯერ კრისტალების ფორმის, თან ახლავს გამოცდის ხერხები. ჩვეულებრივ მიმართავდნენ მინერალთა ფარდობით სიმაგრის განსაზღვრას ან გამოცდას ცეცხლით. მაგრამ არ არის მოყვანილი მონაცემები ხვედრითი წონის განსაზღვრაზე, რომელიც ამ დროისთვის უკვე კარგად იყო ცნობილი.

ბუნებრივი კრისტალების ფორმა. ბუნებრივი კრისტალების ფორმის აღწერა ხელნაწერებში იშვიათად გვხვდება. შესაძლოა ეს იმით არის განპირობებული, რომ სპეკულების უმეტესობას პოულობდნენ ქვიშრობებში, სადაც მათ ჰქონდა მეტ-ნაკლებად მომრგვალებული კენჭების ფორმა, მაგრამ გვხვდება გამონაკლისებიც: მაგალითად აღმასის ოქტაედრული კრისტალების აღწერა *„ექუს ექუს კუთხი იქმნების, რომელსაცა მხარსა გადააბრუნვებ თვით მწვეტი წუერი უმაღლე დარჩების და რა გასინჯავ სიმწუეტე სწორად აქვს“*.

თვალადობა, წყალი, ჯავარი, სინჯი,

შუქთამაში, სიწმინდე და გამჭვირვალობა უცილებელი პირობაა მაღალი ხარისხის ძვირფასი ქვებისთვის.

თვალადობა

თვალადის თვისება, კარგი გარეგნობა, შესახედაობა

წყალი - გამჭვირვალობა

ქვის "წყალი" რთული კონცეფციაა. ბირუნიზე დაყრდნობით [ал-Бируни, 2011] ეს ტერმინი არ ნიშნავს უბრალოდ გამჭვირვალობას ან ქვის ბზინვარებას, რადგან გაუმჭვირვალე მარგალიტს შეიძლება ჰქონდეს "წყალი". ქვა "წყალს" მხოლოდ გაპრიალების შემდეგ იძენს. გაპრიალება, ქვას გამჭვირვალეს ხდის და მისი ფერის სილამაზეს სრულად ავლენს. აქედან გამომდინარე, ქვის „წყალი“, პირველ რიგში, დამოკიდებულია გაპრიალების ხარისხზე: *„იქაურთა ჯელოვანთა გათალონ და წყალი მისცენ“*;

ჯავარი - წყალფერი, გინა მოკდომილობა ZAB [ლექსიკონი ქართული]

1.პატიოსანი ქვა, ძვირფასი თვალი. 2.ძვირფასი თვლის ელვა-კრთომა, ხარისხი. 3.მომხიბლაობა, მოხდენილობა, შნო, ლაზათი. *აღმასი პატიოსანი ქვის „ჯ ა ვ ა რ ი ს მიმცემი არის“*, „აღმასი ჯ ა ვ ა რ ი ა ნ თ ა ქ ვ ა თ ა შეამკობს, თ ვ ა ლ ა დ ო ბ ა ს ა და სიკეთესა მოუმატებს და გ ა ნ ა ბ რ წყ ი ნ ვ ა ლ ე ბ ს და პირდამალულსა მნათობსა მზეებრ გაანათლებს უკუნისა და სიბნელისა, სევდისაგან განსწმენდს და დამალულსა ხოშიადსა განაცხადებს და მას უკანის შეეტყობის ჯავარიანთა სიკეთე თ ვ ა ლ ა დ ო ბ ა და თურმე მას შიგან ს ი ნ ჯ ი და მ ა ნ კ ი დარჩების და ჯავარის მთელენი ვერა ამოიღებენ“.

სინჯი

ნახულთ წუნი რამ ZAB (ლექსიკონი ქართული)

„ამათ შიგან დიდი სინჯი და გამოზიდულობა არის. თუ ერთი მარცვალი წითელი იაგუნდი წყლითა და სინჯით გათავებული იყოს“

მანკი

ვნება რამ დაშთომილი ZA (ლექსიკონი ქართული)

ხასიათი - თვისებები, ძირითადად, სამკურნალო და მაგიური თვისებების მიმართ იხმარება

ფერის შეფასების სისტემა:

კაშკაშა ფერი, გამჭვირვალობასა და სიმაგრესთან ერთად, სპეკალების ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. ძვირფასი ქვების ფერი იყო მათი დიფერენცირების, იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციის საფუძველი.

ფერის აღწერას სჭირდება სამი მახასიათებელი: შეფერილობა. სიმუქე, ნაჯერობა. **შეფერილობის** აღწერა ხდება სპექტრის ფერების მიხედვით: წითელი, ნარინჯისფერი. ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი იისფერი, იასამნისფერი (ლურჯი, იისფერი და წითელი ფერების ზედდების შედეგი) თუ სპეკალის ფერი მოხვდა საზღვარზე სპექტრის ორ ძირითად ფერს შორის, მაშინ უნდა აღწეროთ ჯერ დაქვემდებარებული, ხოლო შემდეგ გაბატონებული ფერი: მოცისფრო მწვანე - თუ გაბატონებული შეფერილობა მწვანეა, ხოლო დაქვემდებარებული ცისფერი; ცისფერ-მწვანე თუ ორივე შეფერილობა ტოლი რაოდენობითაა წარმოდგენილი. **სიმუქე ანუ ტონი** - შეფერილობის სიღიავე ან სიმუქე აღიწერება, როგორც ღია, ზომიერი, მუქი. **ნაჯერობა ანუ სიკაშკაშე** - შეფერილობის სიწმინდე, ნაჯერობა თუ ინტენსიობა უნდა აღიწეროს სიტყვებით: უჯერი (მონაცრისფრო ან მოყავისფრო), ნაჯერი, კაშკაშა (ხასხასა). ასეთია თანამედროვე გემოლოგიის მიდგომა.

აღმოსავლეთში გავრცელებული იყო წარმოდგენა, რომ ფერადი ქვები მიწაში მწიფდება; ჯერ უფრო და მოუმწიფებელია, მოგვიანებით თანდათან იძენს ფერებს ყვითელს, მწვანეს, ლურჯს და ბოლოს წითელს - სიმწიფის უმაღლეს ხარისხს: *„თეთრი იაგუნდი ბროლის ფერი... მრავალი იშოვების, მაგრა პატივი ამაღ აარა აცს, რომე უნდილი არის და ვირე მისი დრო არ მოვა არ დამწიფდების და არ გაწითლდების“.* (K-242:15r)

ხელნაწერებში ქვები ჯერ დაყოფილია ძირითად ფერებად, ხოლო შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მათი ჩაშლა ელფერებად. ელფერების დასახასიათებლად იყენებენ

შედარებას მცენარეების, ყვავილების, ცხოველების, ფრინველების და სხვათა ფერებთან. ელფერის დახასიათებისას გათვალისწინებულია სიმუქე და ნაჯერობა ან ისინი საგანგებოდ არის მითითებული.

ძირითადი ფერები და ელფერები. მაგალითები:

„*იაგუნდი ოთხფერი არის: წითელი, ლურჯი, ყვითელი და თეთრი*“.

იაგუნდი წითელი (7 ელფერი): ბრწყინვალედ წითელი; ბროწეულის მარცვლის ფერი; არღვანის ფერი (სპარ. *بنفش رنگ* - არღვანი, არაბ. *أرجواني*, არჯუვანი, მოიასამნისფრო წითელი, იასამნისფერი, პორფირი); ვარდის ფერი; ღვინის ფერი; ძმრის ფერი; ხორცის ფერი.

იაგუნდი ლურჯი (5 ელფერი): ფარშმანგის ფერი (იგულისხმება მამრი ფარშევანგის ყელის ფერი - კაშკაშა ლურჯი ან მოიისფრო ლურჯი; რუსეთში იხმარებოდა ანალოგიური მნიშვნელობის ლექსიკური ერთეული *таусинный* - ლურჯის ულამაზესი ელფერის მუქი ლურჯის, იისფერ-ლურჯის ან იისფერის მნიშვნელობით, შემოვიდა ხმარებაში აღმოსავლეთიდან XVI საუკუნეში); ცის ფერი; ლილის ფერი (ინდიგოს ფერი ან ულტრამარინი - მუქი მოლურჯო იისფერი); სურმის ფერი (სავარაუდოდ მონაცრისფრო- მოლურჯო, უჯერი ფერი); ჩალურჯებული ნივრის ფერი (მომწვანო- მოლურჯო)

იაგუნდი ყვითელი (4 ელფერი): ყვითელი იაგუნდი ოთხ ფერი იქმნების **ცუილის** ფერი, **თურინჯის** ფერი, **ნარინჯის** ფერი და **ბზის** ფერი.

ზურმუხტი (4 ელფერი): ახლად ამოსული რაზიანის ფერი (ცერეცოს, კამის); ქერის **ხასილის** ფერი (ჯეჯილის ფერი) *حاصل شحير* (შაირუნ ხასილუნ) **რაიჰანის** ფერი (მხოლოდ ხელნაწერში 1446 N204 , ეროვნული არქივი) *ريحان* (რეიჰანუ)/

წყაროს თანახმად უნდა დასახელებული იყოს ზურმუხტის 4 ფერი, მაგრამ დასახელებულია მხოლოდ ორი - რაზიანის (კამის) და ხასილის (ჯეჯილის); ანალოგიურ სომხურ წყაროში დასახელებულია სამი ფერი - კამის, მწვანე რეჰანის ანუ შაშკულავის და ისპანახის. ტაიფაშის თანახმად [Arab Roots of Gemology. 1998]. ზურმუხტი ოთხი ფერის არის: ლემის მწვანე ბუზის ფერი ([Lucilia](#)), მწვანე რეჰანის ფერი, მწვანე ისპანახის ფერი, მწვანე საპნის ფერი.

წონის ერთეულები

ითვლება, რომ ძვირფასი ქვების უნივერსალური წონის ერთეული «კარატი» თავის სახელს უნდა უმადლოდეს ხმელთაშუა ზღვის აუზში გავრცელებულ აკაკის (აკაციის) ხეს *Ceratonia*

siliqua ე.წ. რქიან ხეს, ბერძნულად κεράτιον (კერატიონი), რომლის თესლი გამოიყენებოდა ამ რეგიონში საწონად. მართლაც, აკაკის თესლის საშუალო წონა დაახლოებით კარატის ტოლია. სულხან-საბას ლექსიკონის თანახმად: კ ე რ ა ტ ი ჰქვიან ხილსა ერთსა, არაბეთს მოვა, ლობიოს (ჰ)გავს. ამ სიტყვის არაბული ტრანსკრიფციაა **قيراط** (კირატი ან ყირატი).

გარდა აკაკის ხის თესლისა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, სპეკალების წონის განსაზღვრისას საწონად იყენებდნენ მსგავსი წონისა და ზომის იმ მარცვლეულს, რომელიც დამახასიათებელი იყო საკუთრივ ამ რაიონისათვის. ხელნაწერის თანახმად „ყირატი ნივთი არის. სახელოვანსა იუაგუნდსა და ლალსა დიდი რჩევა უნდა და მის წონით ანგარიში. ხაშხასისა მარცვალსა ზედან არის გაანგარიშებული და გარიგებული და მას ზედან დაიწყებენ ფასებასა: ოთხი ხაშხაშის მარცვალი ერთ მარცვალ ფეტვად დაიდების; ოთხი მარცვალი ფეტვი, ერთ მარცვალ ქერად დაიდების; ოთხი მარცვალი ქერი ერთ ცერცვის მარცვლად დაიდების; ოთხი ცერცვის მარცვალი ერთ დანგად დაიდების; ექვსი დანგი ერთ მიტყლად დაიდების; ოცდაოთხი ყირატიცა ერთი მიტყალი არის“.

ჩვენი გაანგარიშებით:

- 1 ხაშხაშის მარცვალი = 0,003 გ
- 1 ფეტვის მარცვალი = 0,01 გ
- 1 ქერის მარცვალი = 1 გრანი = 0,05 გ
- 1 ცერცვის მარცვალი = 0.19 გ
- 1 დანგი = 0.75 გრ (XVII საუკუნებამდე მისი წონა იყო 0,74 გ, XVII-XVIII საუკუნეებში 0,77 გ).
- 1 მიტყლი (მისხალი) = 24 ყირატი = 4.5 გ.
- 1 ყირატი = 0.17 გრ (სულხან-საბა); 0,19 (ხელნაწერები); 0.2 გ (თანამედროვე).
- 1 ლიტრა = 288 გ

ცნობები საბადოებზე:

ხელნაერში ძვირფასი ქვების დახასიათება იწყება ცნობით საბადოებზე.

S 3722-ში ეშმაზე სწერია „ხატაეთს კერძოდ დიდი სახელმწიფო არის ხუთანს ეძახიან, მუნ დიდი წყალი არის აზაჯანისკენ ჩადის და ეშმა იმა წყალთაგან არის და არს ქვეყანასა მისგან კლდე ეშმი არსა“.

გამოცდა ფარდობითი სიმაგრის განსაზღვრით, გამოცდა ცეცხლით, გაკეთილშობილება და ყალბის ქმნა: იაგუნდების ფერის შეცვლა გახურებით და გამოცდა; ყვითელი იაგუნდის გაყალბება ფრანგული მინით.

„თუ გინდეს რომე მართალი და მორთული შეატყო ქვის მთლელოთა ჩარხსა შიგან გააბან. თუ ლბილ არის, მორთული არის და თუ მაგარი არის იაგუნდი იქნების. და თუ ქვის მთლელო არ

იყოს ცეცხლშიგან ჩააგდე ცოტასა ხანსა დააყოვნე და ტყუილი და მართალი მაშინ გამოჩნდების. თუ ფერი აკლოს მორთული არის და თუ არა აკლოს მართალი არის“.

„ყვითელი იაგუნდი საცნობლად ძნელი არის ამად რომე ფრანგნი მინაქარსა ერთობ გალესვენ და ჭიქასა ვითა შეიქმენ და იაგუნდისა ფერს მისცემენ. ოთხკუთხედად ქვა მოღობო იქმნების. ოსტატნი და ხელოვანნი ესრეთ იტყვიან ვითა ცეცხლშიგან მთლად არ გამოვა“.

პარალელური მასალა: არაკელ თავრიზელი, კ.პატკანოვი და მისი წიგნი.

“და ყველაფერი, რაც ქვემოთ დაწერეთ ქვებზე, დიდი ხანია ნიმუშად გვექონდა და შევიტანეთ [თავში] და ჩავწერეთ მკითხველთა სასარგებლოდ, ღვთის სადიდებლად” (არაკელ თავრიზელი, „ისტორიათა წიგნი“, თავი 54-ე, 1590 - 1670)

1873 წელს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ დაავალა ისტორიკოს კ.პატკანოვს გამოეცა XVII საუკუნეში მცხოვრები არაკელ თავრიზელის (თავრიზელის) ისტორიული ტრაქტატი. ტექსტზე მუშაობისას პატკანოვმა აღმოაჩინა სამი ხელნაწერი, სულ 19 გვერდი, რომელიც სრულებით არ ეხებოდა საგანს, მაგრამ რომელიც ავტორმა დაურთო, როგორც ის ამბობდა „მკითხველთა სასარგებლოდ, ღვთის სადიდებლად“. სამივე ტექსტი შეიცავდა ცნობებს ძვირფასი ქვების თვისებებზე. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნოდა სასულიერო პირს, რომელმაც იცოდა სომხურის გარდა კიდევ 5 ენა - არაბული, თურქული, ფრანგული, ბერძნული და ებრაული. ის ცხოვრობდა ალეპოში, ფლობდა საიუველირო ხელობას და არაკელის თხოვნით დაწერა მოკლე სტატია (A). მეორე ტექსტი იყო უცნობი ავტორის ხელნაწერი, რომელიც მოხვდა არაკელის ხელში (B) და ბოლოს მესამე ხელნაწერი იყო ნაწყვეტი ძვირფასი ქვების შესახებ რომელიც სააქიმო წიგნიდან (C). საბოლოოდ რუსულად გამოიცა კ.პატკანოვის პატარა წიგნი „ძვირფასი ქვები, მათი სახელები და თვისებები მე-17 საუკუნის სომხების წარმოდგენების მიხედვით“ [Патканов, 1873]. ავტორი თავდაპირველად ნახსენები სამი ფრაგმენტის მხოლოდ თარგმნას აპირებდა, თუმცა, თარგმანზე მუშაობის დაწყების შემდეგ, თარგმანი გადაიზარდა კვლევად. მთარგმნელმა დაურთო ტექსტს წინასიტყვაობა და დეტალური კომენტარი, ორიგინალური სომხური ტექსტის ასლები და შეადგინა ტექსტში უხვად გამოყენებული უცხო სიტყვების ლექსიკონი.

ხელნაწერის ფრეგმენტები თავიდან ითარგმნა ჩვენს დროში არაკელ თავრიზელის „ისტორიის“ მესამე გამოცემის მიხედვით [Аракел Даврижеци, 1979].

ტექსტის (B) და (C) ფრაგმენტები სინამდვილეში ერთი ხელნაწერის ნაწილები აღმოჩნდა - „თორმეტი კარი“, რომელიც მსგავსებას ავლენს ჩვენი ხელნაწერების ტექსტთან. სომხური ტექსტი უფრო მოკლეა, ერთგვარი კონსპექტია, მაგრამ ქართულ ხელნაწერებთან შედარებამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა მსგავსება და განსხვავება, რომელმაც გაგვიადვილა ბუნდოვანი ადგილების წაკითხვა, როგორც ქართულ ნუსხებში, ასევე სომხურ ხელნაწერებში და შეავსო ჩვენს ხელთ არსებული მონაცემთა ბაზა. გარდა რუსული თარგმანებისა, ანალიზის დროს ვსარგებლობდით უშუალოს სომხური ტექსტიდან შესრულებული ქართული თარგმანით (მთარგმნელი ხ.გაფრინდაშვილი).

კარაბადინები, ხეც Q-916 და Q-877.

საყურადრებოა ის ფაქტი, რომ ხშირად მინერალოგიური ძეგლი და სამედიცინო კარაბადინი ერთ კრებულშია მოთავსებული ან ერთ მთლიან ხელნაწერს წარმოადგენს (მაგ. H-

3264 და H-758). ზოგჯერ კარაბადინები ცალკე თავის სახით შეიცავენ მინერალოგიურ ტრაქტატს (მაგ. ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნი Q-877 თავს - ხასიათი თუალებისა და დღემდე გამოუქვეყნებელი დიდი კარაბადინი Q-916 თავს - ხასიათი თვალისა). ეს ხელნაწერები ძვირფასი ქვების შესახებ საინტერესოა არაბული ნასესხობებით და ფსევდო-არისტოტელეს ციტირებით:

1. არისტოტელი აქიმი იტყუის, ვითა იაგუნდი ექუსი ფერი არის
2. არისტოდელი აქიმი იტყუის, ვითა [ზურმუხტი] ოქროსა ბუხრი არის
3. არისტოდელი აქიმი იტყუის, მესამე ხასიათი ესე არის, რომე ანუ მორიელმა ანუ ღრიანკელმან ანუ რამანცა სულიერმან უკბინოს, მას ადგილსა დასცხონ, ტკვიილსა დაუშუას.
4. არისტოდელი იტყუის: რა გაზაფხული შეიქმნას და ჰ[ა]ერსა სილბო მიეცეს და წუიმა დაიწყოს, ამოვა ზღვასა ზედათ სადაფი
5. არისტოდელი აქიმი ასრე იტყუის: ვინ აღმასი მოიღოს და გამოაჩინა ჰალექსანდრე იყო
6. არისტოტელე ჰექიმი არ არის, მაგრამ ჰექიმი თქამც ფილოსოფის თქმა არს. ეს იცოდეთ.

ითვლება, რომ უძველესი არაბული მინერალოგია, რომელიც ფსევდო-არისტოტელეს „ქვების წიგნის“ სახელით არის ცნობილი, სირიული ორიგინალიდან იღებს სათავეს.

ეს წიგნი საინტერესოა, რადგან შეიცავს პრაქტიკულ ინფორმაციას ცალკეული მინერალებისა და ქვების საბადოების შესახებ. განსახილველი ქვეყნები - სპარსეთი, ხორასანი, ინდოეთი, ჩინეთი - კარგად იყო ცნობილი სირიელი ვაჭრებისთვის. მათ მოახერხეს პოზიციის მოპოვება ჩინეთში და ჰქონდათ საკუთარი სავაჭრო პუნქტები და კოლონიები ინდოეთისა და ხორასანის რიგ ქალაქებში.

ეს ფსევდო-არისტოტელესური მინერალოგია უნდა უკავშირდებოდეს ჰუნან იზნ ისჰაკს (808–873), და მის „სიბრძნის სკოლას“, რომელიც მე-9 და მე-10 სს. თარგმანებითა და დამოუკიდებელი თხზულებებით გამოირჩეოდა. ჰუნანი, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანი, მიეკუთვნება როგორც სირიულ, ისე არაბულ ლიტერატურას.

ხეც H 406. პატოსან თვალთათვის

1821წ.

აღწერილია თორმეტამდე სპეკალი, მოცემულია მათი სინონიმები და სახელწოდების წარმომავლობის თავისებური გააზრება: **იასპი** - უპირატესად ფერი მწვანე მსგავს ზურმუხტისა. თუმცა ყვითელ, ლურჯ, მოწითალო ან თეთრ ფერისაც არის; **საფირონი/საპფირონი** [ერთია ლაწურისი (ლაზური) /ლაჭირისი (ლაპისი)/ ლაჯუარდ, მეორე

„გამჭვირვალე, ბრწყინვალე და მშვენიერ, ვითა იაკინთი“]; **ქალცედონი/ ქალკიდონი ანუ ახათხე** (სპილენძისფერი); **სამარაგდე/ზარეთ** (ებრ. ითარგმნების ელუარე)/**ზურმუხტი** (სპ.); **სარდონიქსი** - თეთრი ან მოწითალო მსგავსი ფრჩხილისა, ფრცხილი (ქართ.); **სარდიონი** [„სამთა ფეროვნებათაგანი თავისა არს შავი, შასულ თეთრ და უზენაეს თვისასა წთელ ან უფრორე ღვინისფერ“]; **იამანი** (მდაბიონი უწოდებენ); **სარტილი წითელ სეილანად** (მდაბიონი უწოდებენ; „გამოვალს ესე კერძოთა ბაბილონიისა და ლიდისათა ან უფრორე ჭალაკსა შინა სარდიონისათა, რომლის გამო ეწოდა ქვასა ამას სარდიონი“]; **ოქროს ქუა /თარსის (ებრ.)/ოქროს თუალი/ოქროსქვა/ყვითელი იაგუნდი** (მდაბიონი უწოდებენ); **ბივრიტი** ოქროს ფერი და ელვარე, აღრეული სიმწვანითა; **ტოპაზი** [ტოპაზიონი/ტოპაზის ქვა - „მწვანე ანუ ცისფერი, გინა მიწის ფერი (მდაბიონი უწოდებენ)“]; **ყვითელი სეილანი** - ოქროსფერი ანუ ჩალის ფერი (მდაბიონი უწოდებენ); **ტოპაზიონი** - არსიანას ძეგლი, პეტოლემოს ფილადელფოსის ცოლი; ტოპაზიონი უწოდეს თრაკიელებმა, რომელმაც ის აღმოაჩინეს]; **ქრიზოპრას** [(ელინ.) - ოქროსა და პრასის ფეროვნებისა; ფირუზი (მდაბიონი უწოდებენ); **იაკინთი/იაგუნდი** (მდაბიონი უწოდებენ) [ცისფერ ანუ მოლურჯო, რომელსაც თათარნი უწოდებენ ლურჯ იაგუნდად; ჩალისფეროვან ანუ ოქროსფეროვან .. უწოდებენ ამას იაკინთსა **ოქროქუად** ანუ **ოქროს ანთრაკად** ითქმის **ქრისოლითოს**, რომელთა ითარგმნების ოქროქუად (მთარგმნელთამებრ ჩვენსა შორს); თათარნი უწოდებენ **ყვითელ იაგუნდად**; წითელსახოვან ანუ ვარდისფერ, თათარნი უწოდებენ ამას **წითელ იაგუნდად**]; ამეთვისტო - ვარდის ფეროვანი ანუ ი[ი]სფერ ანუ პორფირისფერ, რომელ სოსანი შერთული იყოს ურთიერთ.

ისიდორას ხსენება ხელნაწერში H-406

1. ამის სპეკალთათვის იტყვის **ისიდორა** „ვითარმედ იყოს მინამსგავს სხვათა ან სხვათა ფეროვნებათა“ [იასპი]
2. და კუალად იტყვის ამის ქვისთვის **ისიდორას** „ვითარმედ ვითარ იგი ცეცხლის თვლის მსგავსებრ“ [ქალკიდონი ანუ ანთრაკი]
3. გამოვალს ესე კერძოთა შინა ბაბილონიისა, ან ლიდისათა, ან უფრორე ჭალაკსა შინა სარდინიისათა, რომლისა გამო ეწოდა ქვასა ამას „**სარდიონი**“ ვითარ იგი იტყვიან მრავალნი ან უმეტესადრე **ისიდორის**.

წმინდა ისიდორე, სველიელი ეპისკოპოსი VI საუკუნეში, ენციკლოპედიური ნაშრომის „ეტიმოლოგიის“ ავტორი, პლინიუს უფროსის მიმდევარი.

ციტატები პლინიუს უფროსის „ნატურალური ისტორიიდან“ ხელნაწერში H-406:


1. აწ თუალ ესე იქნების უკუე რაოდენობითა უდიდეს უფროს ვიდრე ყოველთა სპეკალთა ეგეოდენ ვიდრემდის იგი ოდესმე პოვნილ იქმნა ძუელთა შინა ტოპაზიონი ოთხ წყრთეულ, რომლისაგანაცა გამოკვეთეს ან გამოაქანდაკეს ძეგლი **არსინასი**,

უწინარეს სოფლის მაცხოვრის შობისა, ცოლისა პეტოლემეოს ფილადელფოსა, ესე იგი ძმის მოყვარისა, რომლისათვისცა დაამტკიცებენ მრავალნი.

2. იტყვიან ვითარმედ] ტრაკონელი, რომელთრაკიელი, დიდისა შიმშილისა//თვის ჰსთხრიდენ რა ძირთა მდელითასა საჭმელად, ჰპოვეს მაშინ მუნ სპეკალი ესე აღმოთხრასა თანა მიწითასა, რომელსაცა მაშინ ეწითა მით თრაკიელთა უწოდეს ქუასა მას *ტოპაზიონი*, რომელიცა ჰნიშნავს მათსა ენასა ზედა *საძიებელსა*, ვინადგან მრავალნი ეძიებენ მას და ვინათგან არს ესე ყოველთა თულათა უპატიოსნესი ძალითა ან მოქმედებითა.

არქივი, ფ.1446 N 388. ქვათათვის ძვირფასთა და მრავალთა საქმეთა გამოსდევთა და ძალებათა მათთვის XIX ს.

მოცემულია მოკლე აღწერა შემდეგი სპეკალების: ალმასი; იაგუნდი წითელი; იაგუნდი ლურჯი ლალი; ზურმუხტი; ფირუზი; ყაჩა (ბეჩეტი, ყაჩატი); აგატი; ტუმპაზი; ბალანუს ქვა; ვინისა (რუს.)//ღრანან (ქარ.); ალატეს (გაგეტეს, გიშერი); ასპიდი (უნდა იყოს სერპენტინი ანუ გველის ქვა, მაგრამ აღწერის თანახმად *მწვანე წითელი კოპლებით* იგულისხმება მწვანე იასპისის სახესხვაობა - ჰელიოტროპი); მალნიტი (მაგნეტიტი); ფაზარი//ზეზარ; ცელინტი (სავარაუდოდ, სელენიტი განმარტების თანახმად, *მარგალიტს, რომ აქვს ტყავ გინა ნაჭუჭი* ანუ სადაფი?); ორბის ქვა (ლათ. აკვილელატის - *Aquila lapis*; ბერძ. აკლივან ?) *მიწისფერი თუ ნაცრისფერი*. თუ გატეხავ შიგნით არის თხილის ოდენა ბროწეულის მარცვლის მსგავსი სხვა ქვა; მერცხლის ქვა „*არის ორფერო წითელი და შავი*“; ქათმის ქვა „*პოულობენ კუჭსა და მუცელში და არის ცერცვის ოდენი*“; მარჯანი წითელი, თეთრი და შავი. მასალა აღებულია ძველი რუსული ლექსიკიდან.



არქივი ფ.1446 N 388

არაბული ფესვები და ლექსიკა გემოლოგიური შინაარსის ქართულ ხელნაწერებში

შუა საუკუნეების ქართული მწერლობა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ლიტერატურასთან ურთიერთკავშირში ვითარდებოდა. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავდა, „ადამიანთა საზოგადოების ისტორიამ არ იცის არც ერთი მაგალითი აბსოლუტურად იზოლირებული კულტურული განვითარებისა“ (კეკელიძე, 1956: 184). ხელნაწერებში დაცული მრავალდარგოვანი ნათარგმნი თხზულებები ადასტურებს ქართველი მწიგნობრების ორმხრივ განათლებას: დასავლურს - ელინურ-ბიზანტიურ ქრისტიანულს და აღმოსავლურს -- არაბულ-ირანულ მაჰმადიანურს.

მთარგმნელობითი მოღვაწეობის პროცესში, საზოგადოდ, სიტყვათა სესხება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყარო ხდება. ნასესხობათა გამოვლენა და კვლევა ენის ისტორიის შესწავლის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ლიტერატურული ურთიერთობის პარალელურად საუკუნეთა განმავლობაში არაბებთან ერთად თანაცხოვრება და ენობრივი კონტაქტები არაბულენოვან, სპარსულენოვან და თურქულენოვან სამყაროსთან განაპირობებდა აღმოსავლური ლექსიკის დამკვიდრებას ქართულში (ავალიანი 2005: 7).

ქართულში აღმოსავლური, კერძოდ, არაბული წარმოშობის ლექსიკის გამოვლენისა და კვლევისათვის საინტერესო წყაროს წარმოადგენს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული გემოლოგიური შინაარსის ქართულენოვანი ხელნაწერები, რომლებშიც თავმოყრილია არაბული წარმოშობის სხვადასხვა რიგის ლექსიკური ერთეულები, მათ შორის ძვირფასი ქვების სახელწოდებები, ვინაიდან კარგად არის ცნობილი შუა საუკუნეებში არაბულენოვანი

სწავლულებისა და არაბული სამყაროს როლი მინერალოგიური და გემოლოგიური ცოდნის ჩამოყალიბებაში, მის პოპულარიზაციასა და გავრცელებაში. ამ ხელნაწერთა ენა არის საოცარი ნარევი სპარსული, არაბული და თურქული ლექსიკის და წინადადებების უცხო წყობის, რაც საკმაოდ ართულებს ტექსტის წაკითხვას და ინტერპრეტაციას.

ამ თვალსაზრისით შევხებით ხელნაწერთა ორ ჯგუფს: 1. „წიგნი ... თვალ-მარგალიტისა და სხვათა მრავალთა სინჯის, თვალადობის, ფასისა და ხასიათისა განაჩენისა“ 2. Q-916. აღნიშნულ ხელნაწერებში გამოყენებულია არაბული ლექსიკა, რომელიც შეიძლება რამდენიმე აზრობრივ ჯგუფად დაიყოს:

1. სპეკალთა სახელწოდებები და მათი ფერები;
2. წონის ერთეულები, სიგრძისა და მანძილის ერთეულები;
3. აღმოსავლური ფულის ერთეულები;
4. გეოგრაფიული სახელწოდებები;
5. ისტორიულ და ლეგენდარულ პირთა სახელები;
6. დაავადებებისა და სამკურნალო საშუალებების სახელწოდებები;
7. ზოგადი არაბული ლექსიკა და არაბული გრამატიკული კონსტრუქციები.

ჩამოთვლილი ჯგუფებიდან განხილულია:

ზომა-წონის ერთეულები. ტექსტში ძვირფას თვალთა ზომა-წონის ერთეულებად გამოყენებულია აღმოსავლური ლექსიკა: **დანგი** (სპ.) = დირჰამის 1/6-ს, 4 ცერცვის მარცვალი = 1 დანგია“(2v); **დირჰამი** (არ. *درهم* *დიჰამ*) = 16 კირატს ან 3,12 გრ-ს; **კირატი/ყირატი** - (არ. *قيراط* *კირატ*) = 1/16 დირჰამს (არ. *درهم* - ვერცხლის მონეტა) ან 0,195 გრ.: „აღმასი დიდი არ იქმნების, რომელიცა თვით იყო ათის (10) ყირატის წონითა მეტი არ იქმნების და არც ვის უნახავს ყირატი“ (2v); **მუტყალი** (არ. *موتقال* *მისკალ*) = 24 კირატს ან 4,68 გრ., „ექუსი დანგი 1 მუტყალად დაიდების და 24 ყირატი ერთი მუტყალი იქმნების“ (2v). **1 დანგია** და **6 დანგი** = 1 მუტყალად დაიდების.

მანძილის საზომი ერთეული. თხზულებაში გამოყენებულია **ფარსანგი** (სპ. ძვ.) = დაახლ. 3 მილს, ეჯი = დაახლ. 4-5 კმ.) ომელი = (ხმელეთი) ხუთი აქუს“ (5v).

ფულის ერთეულები. გამოყენებულია **ფლური/ფრული** (ფულის ერთეული) - (ძვ.) ოქროს ან ვერცხლის (6-7აბაზის ღირებულებისა): „ერთი მარცვალი ფარშამანგის ფერი იაგუნდი იხელთონ, რომე ასრე წონითა ერთი მუტყალი იყოს და ან ნახევარი, წყალი და ჯავარი არ აკლდეს, ასორმოცდაათ (150) ფლურად ეღირების“ (9r). „ერთი ფრულად ასეთს იყიდიან, რომე სხვაგან ხუთ ფრულად გავიდეს“ (10r). **შარიფი** - (არ. *شريف* *შარიფ-კეთილშობილი*) ფულის ერთეული: „ჩემი თვალითა მოვნახე ბენარისა ქუეყანასა დიდვაჭარმან ერთი მარცვალი [აღმასი] რომ წონისა ოცდაათი კერატი იყო, (60 000) სამოცი ათას შარიფად იყიდა“ (3v);

„წითელი იაგუნდი წყლითა და სინჯითა გათავებული იყოს, წონითა ოცი კერატი გამოვიდეს ... ათი ათასი (10 000) შარი ფათ ეღირების“ (7v).

გეოგრაფიული სახელები. თხზულებაში ხშირად გვხვდება გეოგრაფიული - ქალაქების, ქვეყნების, მდინარის, ზღვის, კუნძულის, მთის და სხვათა სახელები:

ადნაჯანი „ხატაეთისა კერძოდ დიდი სახელმწიფო არის, ხუთანს ეძახიან და მუნ დიდი წყალი არის, ადნაჯანისკენ ჩადის“ (43r).

ადრიბეჯანი „ადრიბეჯანის თემშიგან უფროსიცა ქაშანური არის“ (38v).

თურქეთი „აწ რომე ამ მხრით ლაჟვარდს იხმარებენ, არაბეთს, სათურქეთს, ერაცს“ (38v).

ბანგალი „რაცა მარგალიტი შარარანდის, შამატარს, ბანგალს ჩნდეს, ჩინეთს არის, იქით მოდის“ (26v).

ერაცი „აწ რომე ამ მხრით ლაჟვარდს იხმარებენ, არაბეთს, სათურქეთს, ერაცს“ (38v).

იამანი (არ. يامن *იამან*) იემენი: „ზაფხულის ცისკრის ჟამსა იამანი თ აღმოვა და მას ცისკრისა ვარსკულავსა ეძახიან“ (18v).

ინდოეთი „ლურჯსა იაგუნდსა ... ინდოეთს არა პატივი (✓ სრული უარყოფა) აქუსო“ (9r).

მისრეთი (არ. مصر *მისრ*) ეგვიპტე: „[ზურმუხტი] თვალადობისა მისრეთის ქვეყანასა გამოჩნდა“ (14r); „[ზურმუხტი] თვალადობისა მისრეთის ქვეყანასა გამოჩნდა“ (14r); „გამოარჩივა ესრეთ, მისრეთის ხელმწიფესა მივართვა“ (19v); „ცოლად შევირთო და მისრეთის დედოფლობა მას დაუმკვიდროთ“ (24v).

უმანის ზღვა „ერთი რიგი კიდევ მისრეთის თემისაგან გამოდის და იმა ზღუას სახელად უმან ჰქვიან“ (26v).

ურმუზი „ვიყავ ურმუზისა ქვეყანასა, დავყიდე მრავალი მარგალიტი“ (21r).

ქირმანი „მესამე ქანი ქირმანისა ქვეყანასა არის ადგილი, შამავაქი ჰქვიან“ (30v).

ყაილისი „სხვა კუნძული არის, და მას სახელად ყაილისი კუნძული ქვიან“ (26r).

შამავაქი „მესამე ქანი ქირმანისა ქვეყანასა არის ადგილი, შამავაქი ჰქვიან“ (30v).

შამი (არ. الشام *შამ*) სირია: „თუ ან შამის ქუეყანასა და ან საფრანგეთს მიიტანონ, ერთი კერატი ორმოც აშრავ ფლურად დაიფასების“ (3r); შამის (არ. الشام *შამ*-სირია) ქუეყანა (3v).

შარარანდი „რაცა მარგალიტი შარარანდის, შამატარს, ბანგალს ჩნდეს, ჩინეთს არის, იქით მოდის“ (26v).

შირვანი „ვითა შირვანის ქვეყანასა ყვითლის იაგუნდისათვის სრულსა ფასსა მისცემენ“ (9v).

ხატაეთი „მოწი ხატაეთსა კარგად გადის, თუალ-მარგალიტშიგან მოიხმარებენ“ (42r); ხატაეთისა კერძოდ დიდი სახელმწიფო არის, ხუთანს ეძახიან“ (43r).

ხუთანი „ხატაეთისა ხატაეთისა კერძოდ დიდი სახელმწიფო არის, ხუთანს ეძახიან“ (43r).

ჯანუბი (არ. جنوب *ჯანუბ*) სამხრეთი: „რომელსა მხარსა ჯანუბი არის, ვითამცა ჩრდილოეთისა (შეცდომაა, ჩრდილოეთს შიმალი ეწოდება) კერძო, აჯამთა (=უცხოელთა) თემი ის არის“ (35r).

დაავადებებისა და სამკურნალო საშუალებების სახელწოდებები. ძვირფას თვალთა სამკურნალო თვისებების აღწერისას გამოვლენილია ზოგიერთი დაავადებისა და სამკურნალო საშუალების სახელწოდებები:

ავი ჟამი „ვინცა იაგუნდი იქონიოს ავის ჟამისაგან ... უვნო-უმიზეზო იყუნენ“ (10r).

თირკმელი „ვინცა ლალი თანა იქონიოს ყოვლისა სენისაგან უზიანოდ იყოს; თირკმელსა ძალსა მისცემს“ (13v); „ლაჟვარდი ...თირკმლის სენსა განსწმენდს“ (41r).

მაჯუნი (არ. معجون *მაჯუნი*) სამკურნალო ნარევი, ფაფა: „მისგან [იაგუნდისაგან] მაჯუნის შექმნა მრავალსა სენსა გამოიღებს და სისხლისაგან განსწმენდს“ (10v); თუ მაჯუნშიგან მოიხმარონ [ლალი] და შექნან კაცსა ფეროვნად და გულმხიარულად ამყოფებს, სევდისაგან განსწმენდს“ (14r).

შირიმი თირკმლისა და შარდის ბუშტის ქვა: „ვისაცა შირიმი და შეკრულობა სჭირდეს, აღმასი თანა იქონიოს, განსწმენდის“ 5r.

არაბული ლექსიკური ერთეულები. თხზულებაში ხშირად არის გამოყენებული არასპეციფიკური, რიგითი არაბული ლექსიკური ერთეულები:

ამად (არ. آمد *ამად*) ვადა, ზღვარი: „ჯავარის მეცნიერნი მარგალიტისა გვარსა ამად ეძახიან, ფერიცა წაუა და კიდეცა დაბერდების, ამისთვის, რომე წყლისა და მიწისაგან არის“ (29v).

ასასი (არ. اساس *ასასი*) მცველი: „მრავალგან გზის მცველნი-ასასნი დგანან ...ნუთუ საჩინო და სახელოვანი არ გააპარონ“ (8v).

აჯამი (არ. اعجام *აჯამი*) უცხო, არაარაბი: „აჯამთა თემი ის არის“ (35r).

ემინი (არ. امان *ემინი*) უსაფრთხო: „ვინცა მარგალიტი თანა იქონიოს სევდისაგან და ბნედისაგან ემინათ იყოს“ (29r).

თათბირი (არ. تاتبير *თათბირი*) რჩევა, ღონისძიება: „დაასკუნა ესეთათბირი და გამორჩევა“ (20r, S).

მუშტრობა „თუ სადმე ოცი კერატი გამოჩნდეს, მას ზედან მუშტრობა (VIII اشتري იყიდა > مشتر *მუშტარინ* -მყიდველი, შდრ. ქართ. მუშტარი) იქმნება და ცილობა შეიქმნების“ (3v).

ნადირ (არ. نادر *ნადირი*) იშვიათი, არაჩვეულებრივი: „მას ადგილსა ნადირობით უხმობენ ამად, რომე ევა სცთა და ღმერთმან სამოთხით გამოაგდო, სადგური მისი ღმერთმან იმათ ზედან განაჩინა“ (5v).

რაზიანი კამა: „ზურმუხტი ოთხი ფერი არის: პირველი, ახლად ამოსულისა რაზიანისა (14r).

სანდაროზი ყვითელი წებო, გომიზი: „მაშინდა სანდაროზი ზეით მოქცევის და ლაჟვარდი ძირს დარჩების“ (40v).

სარაია (არ. سرایة *სარაია*) სასახლე: „რაჟამს ხელმწიფე სარაიაშიგან შევიდეს“ (20v); „მარგალიტი, ნებსა ზედან დაიდვა, მივიდა სარაის კარსა“ (20v); „ბედნიერი ხელმწიფე სარაიად აღმან გამოვიდა და ტახტსა ზედან დაჯდა“ (22r).

ფირმალი/ფიმილი (არ./ სპ. فرمان *ფირმან*) ხელმწიფის ბრძანებულება: „ადამს უკან როდისაცა ხელმწიფენი იმა ტახტზედან ჯდომილან, სახელად ფირმილი ჰქვიან, და აწ ვინცა დაჯდების იგივე სახელი დაედების და ამას თარგმანობს ფირმალი, ვითა მრავალი საქონელი მათსა ბრძანებასა ქვე არისო შვილით შვილამდის“ (8v).

ხასიათი (არ. خاصية *ხასიათ*) თვისება: „ხასიათობა იაგუნდისა“ (10r).

ჯავარიანი (არ. جهری *ჯავარი*) ძვირფასი თვალი: „ძველთა კაცთაგან ასრე ნათქვამი არის, ვითა [იაგუნდი] ჯავარიანთა ბატონი არისო“ (10r).

უნდა აღინიშნოს, რომ თხზულებაში დადასტურებული არაბული მასალის გავრცობა კვლევის შემდგომ ეტაპზე კიდევ არის შესაძლებელი.

დასკვნა

საკმაოდ ვრცელი ქრონოლოგიური პერიოდის (XV-XIX სს.) ქართულ გეოლოგიურ ხელნაწერებზე ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა კულტურული გარემოთი და ისტორიული კონტექსტით განპირობებული ცოდნა ძვირფასი ქვების შესახებ.

ეს დოკუმენტები თავისთავად ფასეული, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს თუ მათ გავაანალიზებთ, მონაცემებს შევაჯერებთ და ამ გზით აღვადგენთ XVII-XVIII სს-ის საქართველოში ძვირფასი ქვების შესახებ ცოდნისა და მათ მიმართ დამოკიდებულების ისტორიულ სურათს.

კვლევამ კიდევ ერთხელ გამოავლინა მდიდარი ქართული სამეცნიერო ხელნაწერი მემკვიდრეობის ინტერდისციპლინური კვლევის აუცილებლობა და პერსპექტივები.

სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „საბუნებისმეტყველო (ქიმიურ-ტექნოლოგიური და მინერალოგიურ-გეოლოგიური) ცოდნა ქართულ და აღმოსავლურ ხელნაწერებში საქართველოს სიძველეთსაცავებში“ (საგრანტო ხელშეკრულება FR-21-620).

წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

ხელნაწერები:

H 181, H 406, H 758, H 3016, H 3264, S 3722, Q 877, Q 916, ფ.1446/388 (ეროვნული არქივი),
ფ.1446/388 (ეროვნული არქივი), K 242 (ქუთაისი), ფ. 1448, საქმე 1038
(ეროვნული არქივი)

აღწერილობები:

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. (1949). ქართულ ხელნაწერთა კოლექციის
აღწერილობა, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ; აკად.
კორნელი კეკელიძის რედაქციით, ტ. I, კოლ. 1446 N204, გვ. 190-191. თბილისი.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. (2018). ტ II. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ლიკა
აბრალავამ, ქეთევან ასათიანმა, თამარ გაბუნიაშვილმა, მაკა კირვალიძემ, ვერა შენგელიამ,
მანანა ჭუმბურიძემ. თბილისი.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (2019). ტ III. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს:
ქეთევან ასათიანმა, სოფიო ებილაშვილმა, ვერა შენგელიამ, მანანა ჭუმბურიძემ.
თბილისი.

ქიმ: K კოლექცია. (1953). ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კატალოგი (K
კოლექცია),

H ფონდის აღწერილობა. (1946). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა
აღწერილობა (H კოლექცია), დასაბეჭდად მოამზადებულია ლ. ქუთათელაძის და ნ.
კასრაძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, ტ. I, გვ. 306. თბილისი.

S ფონდის აღწერილობა. (1963). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა
შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია. ტ. III (ელენე
მეტრეველის რედაქციით). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
გამომცემლობა.

S ფონდის აღწერილობა. (1967). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), დასაბეჭდად
მოამზადეს თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. კიკნაძემ, მზ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა ელ.
მეტრეველის რედაქციით, ტ. V, გვ. 223. თბილისი.

ლიტერატურა:

- ლექსიკონი ქართული. (1991). მოამზადა ილია აბულაძემ ; რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე; საქ. მეცნ. აკად., ხელნაწერთა ინ-ტი, თბილისი: მერანი.
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=8>
- უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 3 ტომად. (2006). შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. I-ლი გამოცემა. თბ. : ფანტაზია.
- ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი. (2008). შედგენილია ილ. აბულაძის, აკ. შანიძის, ივ. იმნაიშვილისა და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით. შემდგ. გრიგოლ რუხაძე; რედ. გვანცა კოპლატაძე. დაიბეჭდა საქ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით. გვ. 6. თბილისი: საქ. საპატრიარქოს გამომცემლობა.
- Arab Roots of Gemology. (1998). Ahmad Ibn Yusuf Al Tifaschi's Best Thoughts on the Best of Stones. Translated and with commentary by Samar Najm Abul Huda. The Scarecrow Press, Tnc,Lanham, Md. & London.
- Абу-р-Райхан Мухаммед ибн Ахмед ал-Бируни. (1963). Собрание сведений для познания драгоценностей (минералогия) Издательство Академии наук СССР, Редактор: Леммлейн Г.Г. Ленинград.
- Абу-р-Райхан Мухаммед ибн Ахмед ал-Бируни. (2011). Собрание сведений для познания драгоценностей (минералогия), Изд.: Филологический факультет СПбГУ, Редактор: Стеблин-Каменский И. М., Никоноров В.П. Переводчик: Беленицкий А. М. <https://www.labyrinth.ru/books/515561/>
- Аракел Даврижеци. (1978). «Книга историй». Перевод с армянского. Главная редакция восточной литературы. Москва: издательства “Наука”.
- Аракел Даврижеци. Книга историй (თავი 53, გვ 103-105 (ტექსტში) *О названиях и свойствах драгоценных камней*; თავი 54, გვ. 105-107. *Вот она, книга о драгоценных камнях, которые существуют на свете, [о том], откуда они происходят, и прежде всего об алмазе*) <https://litmir.club/br/?b=845955&p=105>
- Патканов, К.П. (1873). Драгоценные камни, их названия и свойства по понятиям армян в XVII веке. К.П. Патканова. СПб.:Академии наук.

REFERENCES

Manuscripts:

H 181, H 406, H 758, H 3016, H 3264, S 3722, Q 877, Q 916, ფ.1446/388 (National Archives),
ფ.1446/388 (National Archives), K 242 (Kutaisi), ფ. 1448, Case 1038_(National
Archives)

Descriptions:

tsent'raluri sakhelmts'ipo saist'orio arkivi. (1949). kartul khelnats'erta k'olektsiis aghts'eriloba, shedgenilia p'rop. s. k'ak'abadzis da p'. gagoshidzis mier; ak'ad. k'orneli k'ek'elidzis redaktsiit, t'.I, k'ol.1446 N204, gv. 190-191. [Central State Historical Archive. (1949). Description of the collection of Georgian manuscripts, compiled by Prof. S. Kakabadze and P. by Gagoshidze; Acad. Edited by Korneli Kekelidze, vol. I, col. 1446 N204, p. 190-191]. Tbilisi.

kartul khelnats'erta aghts'eriloba. (2018). t' II. sheadgines da dasabech'dad moamzades: lik'a abralavam, ketevan asatianma, tamar gabuniam, mak'a k'irvalidzem, vera shengeli, manana ch'umburidzem. [Description of Georgian manuscripts. (2018). Volume II. Compiled and prepared for printing by: Lika Abralava, Ketevan Asatian, Tamar Gabunia, Maka Kirvalidze, Vera Shengelia, Manana Chumburidze]. Tbilisi.

kartul khelnats'erta aghts'eriloba (2019). t' III. sheadgines da dasabech'dad moamzades: ketevan asatianma, sopio ebilashvilma, vera shengeli, manana ch'umburidzem. [Description of Georgian manuscripts (2019). Volume III. Compiled and prepared for printing by: Ketevan Asatian, Sofia Ebilashvili, Vera Shengelia, Manana Chumburidze]. Tbilisi.

kim: K k'oleksia. (1953). kutaisi ist'oriul-etnografiuli muzeumis k'at'alogi (K k'oleksia) [Catalog of the Kutaisi Historical-Ethnographic Museum (K Collection)]

H pondis aghts'eriloba. (1946). sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis kartul khelnats'erta aghts'eriloba (H k'oleksia), dasabech'dad moamzadebulia l. kutateladzis da n. k'asradzis mier, il. abuladzis redaktsiit, t'. I, gv. 306. [H Fund description. (1946). Description of Georgian manuscripts of the State Museum of Georgia (H collection), prepared for printing by L. Kutateladze and N. by Kasradze, ill. edited by Abuladze, Vol. I, p. 306]. Tbilisi.

S pondis aghts'eriloba. (1963). kartul khelnats'erta aghts'eriloba. qopili kartvelta shoris ts'era-k'itkhvis gamavrtselebeli sazogadoebis (S) k'oleksia. t'. III (elene met'revelis redaktsiit). [S fund description. (1963). Description of Georgian manuscripts. Collection of the society (S) for

- spreading literacy among former Georgians. T. III (edited by Elena Metreveli)]. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the USSR of Georgia.
- S pondis aghts'eriloba. (1967). kartul khelnats'erta aghts'eriloba (S k'oleksia), dasabech'dad moamzades t. bregadzem, t. enukidzem, l. k'ik'nadzem, mz. shanidzem da ts. ch'ank'ievma el. met'revelis redaktsiit, t'. V, gv. 223. [S fund description. (1967). Description of Georgian manuscripts (S collection), prepared for printing by T. Bregadze, T. Enukidze, L. Kiknadze, Mz. Shanidze and Ts. Chankiev e-mailed Edited by Metreveli, vol. V, p. 223]. Tbilisi.

used literature

- leksik'oni kartuli. (1991). moamzada ilia abuladzem ; red.: el. met'reveli, ts. kurtsik'idze; sak. metsn. ak'ad., khelnats'erta in-t'i, tbilisi: merani.
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=8>
- universaluri entsik'lop'ediuri leksik'oni, 3 t'omad. (2006). sheadgina aleksandre elerdashvilma. I-li gamotsema. tb. : pant'azia.
- kartuli enis sheertebuli leksik'oni. (2008). shedgenilia il. abuladzis, ak'. shanidzis, iv. imnaishvilisa da skhva avt'orta leksik'onuri ts'qaroebis mikhedvit. shemdg. grigol rukhadze; red. gvantsa k'op'lat'adze. daibech'da sak. k'atolik'os-p'at'riarkis ilia II lotsva-k'urtkhevit. gv. 6. tbilisi: sak. sap'at'riarkos gamomtsemloba.
- Абу-р-Райхан Мухаммед ибн Ахмед ал-Бируни. (2011). Собрание сведений для познания драгоценностей (минералогия), Изд.: Филологический факультет СПбГУ, Редактор: Стеблин-Каменский И. М., Никоноров В.П. Переводчик: Беленицкий А. М. <https://www.labyrinth.ru/books/515561/>
- Аракел Даврижеци. (1978). «Книга историй». Перевод с армянского. Главная редакция восточной литературы. Москва: издательства «Наука».
- Аракел Даврижеци. Книга историй (თავი 53, გვ 103-105 (ტექსტში) *О названиях и свойствах драгоценных камней*; თავი 54, გვ. 105-107. *Вот она, книга о драгоценных камнях, которые существуют на свете, [о том], откуда они происходят, и прежде всего об алмазе*) <https://litmir.club/br/?b=845955&p=105>
- Патканов, К.П. (1873). Драгоценные камни, их названия и свойства по понятиям армян в XVII веке. К.П. Патканова. СПб.:Академии наук.